

სვ



ქართული
ენციკლოპედია

იხანი +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინფორმაციო ჟურნალი მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

1713
2009

№ 9, ნოემბერი, 2009



UDC(uak) 050-056.
26+369.25+368. 945-ი -474

სარედაქციო საბჭო

თეიმურაზ მიქიაშვილი
კარლო მუშკუდიანი

მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
ტელ 893335887

**ბამომცემელი
რედაქტორი:**

კარლო მუშკუდიანი
ტელ.: 897203960

დოზაინერი

გიორგი ჯვარშიევილი

ბამომცემელი:

კავშირი „იმედი+“

**საკონტაქტო
ინფორმაცია**

ჟურნალი „იმედი+“
ს.ჩიქოვანის ქ.14
ტელ.: + 995(32) 365627
ელ ფოსტა:
pr_imediplus@yahoo.com

ჟურნალი რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი:
01343/12/0726

3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა2
 შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან4
 რატომ და როგორ უნდა შევიცვალოთ მე და თქვენ6
 ვალეოლოგიური განათლება — ნარმატივული
 სახელმწიფოს სავიზიტო ბარათია9
 ღია წერილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
 ბატონ ნიკა გვარამიას!10
 პირველი ნაკადი12
 ზაზა სიხარულიძის შემოქმედება13
 რეაბილიტაციის ტექნიკური საშუალებები15
 ხელოვნება - ინტეგრაციის საშუალება.....19
 პაროლიმპიური სპორტის სახეობები.....20
 სტუმრად ლაგოდეხში21
 შესაძლებლობა და არა უძღურება22
 საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.....24
 კურიოზული ფოტო25
 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო25
 წმიდა დიდმონაშენ და ძღვევამოსილი გიორგი27
 პაროლიმპიური ამბები.....28
 საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
 პირთა სოციალური დაცვის შესახებ.....29
 სამი ხერხი, რომელიც დაგვიცავს მუდმივი
 სტრესისაგან30
 მოზაიკა32

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის პირველ და ბოლო გვერდზე:
 კაბადოკია — წმიდა ნინოსა და წმიდა გიორგის სამშობლო.



იბეჭდება ფონდი ღია საზოგადოება-
 საქართველოს მხარდაჭერით

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩანერგილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.



3 ღაკაეზარი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა

დღევანდელ თემას ჩვენ ვუძღვნით იმ პრობლემას, რომელიც, სამწუხაროდ, ერთ დღეს შეიძლება ყველას შეეხოს. — ეს თემა ინვალიდობაა, რომელიც შემთხვევით არ ავგირჩევია. რა თქმა უნდა, სამი დეკემბრის დღეს დღესასწაულს ვერ დავარქმევთ. ძნელია უნოდო მას საზეიმო დღე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათთვის, ვისთვისაც ამ დღეს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, ვიდრე სხვა დღეებში, შეიძლება იყოს რალაცით გამორჩეული, თუმცა სევდით მოსილი.

ინვალიდთა საერთაშორისო დღე გამოცხადებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1982 წელს. მან მოუწოდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამ დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, ჩაეტარებინათ სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მაგრამ, სულ მალე გახდა ნათელი, რომ მარტო ერთ დღეს ჩატარებული ღონისძიებები ჯანმრთელობაში სხვადასხვა გადახრების მქონე ადამიანებისათვის ვერ მოიტანდა იმ შედეგს, რომელიც მათ ცხოვრებას შეუმსუშუქებდა. თუმცა, ამ დღის აღნიშვნა აუცილებლად საჭირო იყო, რადგან საზოგადოებას წელიწადში ერთხელ მაინც გაეხსენებინა, რომ ეს ადამიანები მათ გვერდზე არსებობენ, რომ მათ იგივე მოთხოვნები გააჩნიათ, როგორც ჯანმრთელებს, არიან არანაკლებად განათლებულნი და შრომისუნარიანნი, არანაკლებად თავდადებულნი საკუთარი ქვეყნისათვის და, რომ მათ იგივე ცხოვრების პირობები ესაჭიროებათ, როგორც სხვებს.

ისმება კითხვა. იმისათვის, რომ შენმა შვილმა, ძმამ, სისხლით ნათესავმა, მეზობელმა და საერთოდ მოყვასმა (იგულისხმება, რომ ერი ერთი გენეტიკური წყობის საზოგადოებისაგან შედგება), იცხოვროს ისე, როგორც საზოგადოების სხვა დანარჩენი წევრები ცხოვრობენ, გაეროს დადგენილებაა საჭირო? მე, როგორც მშობელს, რალაც დადგენილებით, სხვამ უნდა დამავალოს, რომ ჩემმა ინვალიდმა შვილმა ჩემს ოჯახში ისე უნდა იცხოვროს, ისე უნდა იკვების, იმკურნალოს, ჩაიცვას და დაიხუროს, როგორც ოჯახის სხვა დანარჩენმა წევრებმა? მაშ, ვინ ვარ მე? ხომ შეეპარებათ ეჭვი მეზობლებს ჩემს სრულფასოვნებაში?

ეს მაგალითი იმიტომ მოგვყავს, რომ სახელმწიფო რალაცით ნაავას ოჯახურ წყობას და ამიტომ.

სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს საკუთარი ინვალიდების ყოფიერების ამაღლებისათვის. იზრუნოს იმისთვის მაინც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იცოდნენ, ისინი დავინყებულები არ არიან და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას უჭირს, მათზე ზრუნვა სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

რადგან ამაზე მიდგა საქმე, მოვიყვანთ სახელმწიფოებრივი მზრუნველობის მაგალითს: მე-17 საუკუნეში, საფრანგეთში, ლუდოვიკო XIV-ის მეფობის დროს, პარიზში, ააშენეს თავშესაფარი ინვალიდებისათვის, კერძოდ ომის ვეტერანებისათვის. მისი მშენებლობა დაიწყო 1671 წელს და დამთავრების შემდეგ ეწოდა ინვალიდთა სახლი, სადაც 4000 ადამიანს შეეძლო ერთდროულად თავის შეფარება. ეს შენობა არაფრით არ ჰგავს თანამედროვე საავადმყოფოებს ან საქველმოქმედო ორგანიზაციებს. დღეისათვის ეს არქიტექტურული ანსამბლი წარმოადგენს საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია მისი არსი, ამ სახლის აშენების არსი. ეს არსი კი არის ზრუნვა უძღურთა დახმარებისათვის. ლუდოვიკო XIV-ის აზრით, ქვეყანა მოვალე იყო ეზრუნა იმ ადამიანებზე, რომლებმაც სამშობლოს დაცვას შეწირეს საკუთარი ჯანმრთელობა, შეწირეს ის, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის. ის ვალდებული იყო დაებრუნებია ვალი და თავის მხრივ მიეცა მათთვის ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობა.

ახლა, თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რამდენი და როგორი პრობლემა შეიძლება წარმოექმნათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ცხოვრების პროცესში და რა ჯოჯოხეთად შეიძლება ექცეთ ეს პრობლემები მათ, რომლებსაც არ გააჩნიათ დახმარება და ყურადღება.

ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომელიც ამ პრობლემების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს არის, როგორც საზოგადოების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და მათი უახლოესი ადამიანების არაინფორმირებულობა (უცოდინრობა) ამა თუ იმ პრობლემის არსის და მათი მოგვარების საქმეში.


პრობლემის ნათლად წარმოჩენისათვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას შეიცავს და ვფიქრობთ თვით მკითხველი განსჯის მათ რაობას. როდესაც ექი-

მებისაგან მოვისმინეთ ჩემი ახალდაბადებული შვილის ინვალიდობის შესახებ, ხანგრძლივი შოკიდან გამოსვლის შემდეგ შევუდექით ბრძოლას მისი გადარჩენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ხდებოდა 1980-იან წლებში და იმ დროს გამოდიოდა უამრავი სხვადასხვა სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურა, ვერ მონახავდით ერთ ფურცელსაც კი, რომელიც ჩემნაირი პრობლემის მქონე ადამიანებს მიაწვდიდა ინფორმაციას. არა და, როგორ ვეძებდით ისეთ გამოცემას, რომელიც ჩემს თანამოებდეთ მორალურად გაამხნევებდა, დაეხმარებოდა ახალი გზების ძიებაში, მოუთხრობდა მკურნალობისა და რეაბილიტაციის ახალ ტექნოლოგიებზე, დაიცავდა მათ უფლებებს, შეეცდებოდა მათ სამართლებრივ განათლებას, დაეხმარებოდა ერთნაირი პრობლემის მქონე გამოცდილი მშობლებისაგან ახალბედა მშობლებისათვის გამოცდილების გაზიარებაში, წარმოაჩინდა მათ ნიჭსა და შესაძლებლობებს და ა.შ. უნდა ითქვას, რომ სხვა ქვეყნებში ერთი გამოცემა კი არა, რამოდენიმე გამოდის სხვადასხვა მიმართულებით. საქართველოში კი, ეს არავის აინტერესებდა და ვფიქრობთ, არც ახლა აინტერესებს, მაგრამ უამისოდ ხომ არ შეიძლება. არიან ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც ჰაერივით ესაჭიროებათ ახალი ინფორმაციები, რჩევა-დარიგება, გვერდში დგომა, ერთი შეძახებაც კი და ამისათვის, მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, წინამდებარე ჟურნალი დაარსდა, რომლის ამქვეყნიური სინათლის ხილვას ფონდ “ღია საზოგადოება საქართველოს” და მის ახალ ხელმძღვანელობას უნდა ვუმაღლოდეთ. ეს ჟურნალი მრავალ მიზეზთა გამო არ იყიდება და უფასოდ ვრცელდება მთელ საქართველოში. თუ მკითხველთა გამოხმაურებებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, წარმატებით ართმევს თავს თავის მისიას. დრო კი გადის და მოპოვებულ გრანტს თავისი დრო ენურება. ამიტომ, რადგან ჟურნალი არაკომერციულ ხასიათს ატარებს, მისი შემდგომი გამოცემისათვის ისევ სხვადასხვა ფონდების იმედად ვრჩებით და, ვინაიდან მედიის განვითარებისათვის აცხადებდა კონკურსს, ცხადია თხოვნით მომავალი დაფინანსებისათვის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს მივმართეთ, რომლისგანაც უარი მივიღეთ ჩვენი წარდგენილი პროექტის ნაკლებად კონკურენტუნარიანობის გამო. თუმცა, ძალიან შენუხდა ამის გამო და იმედი დაგვიტოვა, რომ კვლავ შეგვეძლო მიგვემართა ფონდისათვის ახალი წინადადებით.

გვსურს მკითხველს ვთხოვოთ, რომ ეს სტრიქონები ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიმართ კრიტიკად ან საყვედურად არ ჩათვალოს. არამც და არამც. ყველა ფონდს გააჩნია საკუთარი მიზნები და ამოცანები, საკუთარი წესდება, რომლის მიხედვითაც ანხორციელებს თავის მუშაობას, გააჩნია საკუთარი შეხედულებები და თავის მოსაზრებისამებრ გასცემს გრანტებს. ეს ასეა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი შეიძლება სწორიც

იყოს, მაგრამ აქ მთავარი უარის მოტივია — **ნაკლებად კონკურენტუნარიანობა**. მთავარია ის, რომ ინვალიდთა ტკივილი, დახმარება, გვერდში დგომა, მორალური მხარდაჭერა, მათი უფლებების დაცვა, მათი ნიჭის გამოვლენა **ნაკლებად კონკურენტუნარიანია** სხვა ამქვეყნიურ მოთხოვნილებებთან შედარებით. ყველაფერი წინა პლანზე დგას, ყველაფერი, როგორც ახლა იტყვიან, შესრულებადია, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭირობორტო საკითხებია **ნაკლებად კონკურენტუნარიანი**, ე.ი. დისკრიმინირებული. ეს მაგალითი ყველგან ვრცელდება, ეს იქნება ფონდი თუ სამინისტრო, მაღაზია თუ კინოთეატრი. ამას არ აქვს მნიშვნელობა სად ხდება ეს. თუ ეხება ინვალიდებს, მაშასადამე **ნაკლებად კონკურენტუნარიანია**.

იმიტომ მოვიყვანეთ ეს მაგალითი, რომ აქნათლად ჩანს პრობლემათა კავშირი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ფონზე. აქ ნათლად ჩანს თუ ვინ როგორ ხედავს და აღიქვამს პრობლემას, რომელიც შეიძლება ხვალ თვით მას დაატყდეს თავს. გაეროს დადგენილება კი პირობით ხასიათს ატარებს. რამდენი დადგენილებაც უნდა მივიღოთ და რა დონისაც უნდა უნდა იყოს ეს დადგენილება, ყველაფერი დამოკიდებულია შემსრულებლის შეხედულებათა ღირებულებაზე. ჩათვლის **კონკურენტუნარიანად**, მაშასადამე ბედმა გაგიღიმათ . . . ამიტომ, გავიხსენოთ ჩვენგან თუ არა, სხვის მიერ დანესებული ინვალიდთა დღე, დღე, რომელმაც იქნებ ერთი დღით მაინც ჩაგვაფიქროს.



**წვრთნის
თანამშრომლობის
ფონდი**

კახეთის ქუჩა № 3
თბილისი, საქართველო 0179
ტელ/ფაქსი: 995.32.25.39.42/43
www.epfound.ge
info@epfound.ge


ბ-ნ თეიმურაზ მიქიაშვილს
პროექტის დირექტორს
კავშირი “იმედი”
ქ. თბილისი, საქართველო ს. ჩიქოვანის ქ. №14
განაცხადის №: **G09-0085**

ბ-ნ თეიმურაზ

თქვენი საპროექტო წინადადების “**შშპ კირიბისათვის ყოველთვის იხი**” საინფორმაციო-საბანანათმშენებლო **შპს-ის** განაცხადი “**გამოცემა**” პასუხად გაცნობებთ, რომ ფონდმა განიხილა თქვენი განაცხადი. ფონდში შემოღის მრავალი საპროექტო განაცხადი და მათი შერჩევა ხდება ძალიან კონკურენტულ გარემოში. თქვენი პროექტი **ნაკლებად კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა** ფონდში წარდგენილ სხვა პროექტებთან შედარებით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი წუხს იმის გამო, რომ ამ ეტაპზე ვერ შესძლებს გაგიწიოთ ფინანსური მხარდაჭერა. თუმცა თქვენ კვლავ შეგიძლიათ მიმართოთ ფონდს ახალი წინადადებებით.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით,

ქეთევან ვაშაიკიძე
დირექტორი

უზუღდრა საქართველოს სახალხო დამცველთან

თეიმურაზ მიქიაშვილი



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დღესაც რჩებიან ყველაზე მეტად იზოლირებულ ადამიანებად. მართალია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალმა მთელს მსოფლიოში მრავალი ადამიანის ცხოვრება შეცვალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ დადგენილი კანონებით, რომელიც უზრუნველყოფენ მათი უფლებების დაცვას. საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებების უგულვებელყოფა არ არის დასაშვები. დღეს დადგარეალური ნაბიჯების გადადგმის დრო. აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ ვენვიეთ საქართველოს სახალხო დამცველს, ბატონ გიორგი ტულუშს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ახლახანს (2009 წლის 31 ივლისს) დაამტკიცა აღნიშნულ თანამდებობაზე.

ბატონო გიორგი, უპირველეს ყოვლისა ჟურნალ "იმედი+"-ს რედაქციისა და მისი მკითხველის სახელით გილოცავთ ქვეყნის სახალხო დამცველის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამტკიცებას და გისურვებთ წარმატებებს. როდესაც თქვენი კანდიდატურა წარადგინეს სახალხო დამცველის თანამდებობაზე, განსახორციელებელ საკითხთა შორის თქვენ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად აცხადებდით ინვალიდობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვას. რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

ბატონო გიორგი, უპირველეს ყოვლისა ჟურნალ "იმედი+"-ს რედაქციისა და მისი მკითხველის სახელით გილოცავთ ქვეყნის სახალხო დამცველის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამტკიცებას და გისურვებთ წარმატებებს. როდესაც თქვენი კანდიდატურა წარადგინეს სახალხო დამცველის თანამდებობაზე, განსახორციელებელ საკითხთა შორის თქვენ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად აცხადებდით ინვალიდობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვას. რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა, რომელიც უკავშირდება უშუალოდ ჩვენს პრიორიტეტებს. სახალხო დამცველის აპარატს აქვს არაერთი მიმართულება, რომელიც სწავლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემებს და ეძებს მათი აღმოფხვრის გზებს. ამის განსახორციელებლად სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის ცენტრი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო პოლი-

ტიკის სამოქმედო გეგმის შეფასება და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. ჩვენ, აგრეთვე აქტიურად ვმუშაობთ და ვლობირებთ საქართველოს პარლამენტში გაეროს კონვენციის რატიფიცირებას, რომელიც ინვალიდთა უფლებებს ეხება და მას შემდეგ, როდესაც მოხდება კონვენციის რატიფიცირება, ჩვენ აქტიურად გავშლით მუშაობას ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნების შესასრულებლად. ასევე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯანმრთელობა, მათი ყოფითი პირობები, მათი საცხოვრებელი გარემო, სპეციალური დანესებულებები, სადაც მათ ხშირად უწევთ ყოფნა და ასევე ამ სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების კიდევ უფრო გაძლიერება და გააქტიურება. ასე რომ, ჩვენმა ოფისმა კატალიზატორის როლი უნდა შეასრულოს ამ პროცესში. რა თქმა უნდა, ჩვენ იმასაც ვითავისებთ, რომ მართო ჩვენ ვერ შევძლებთ ბევრი რამის გაკეთებას. ამას დასჭირდება გარკვეული ხელშეწყობა მთავრობის მხრიდან, რომელმაც ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანაში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების აღმოსაფხვრელად. ჩვენ კი, ვეცდებით, ვიყოთ მაქსიმალურად აქტიურები, რომ ეს პრობლემა, რომელიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, იმაზე წინ წამოვიწყოთ, ვიდრე დღეს დგას და იყოს გამახვილებული შესაბამისი ყურადღება.

როგორი კონტაქტები გაგაჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და როგორ მიმდინარეობს მათთან მუშაობის კოორდინაცია.

ჩვენი მიზანი არის სწორედ ის, რომ მივეხმაროთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს იმ საკითხების ლობირებაში, რომელიც დაეხმარებათ მათი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას. შესაბამისად, ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციასთან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციასთან და ასევე იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ამ კოალიციებში. გარდა ამისა, საქართველოში მოღვაწეობს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც არიან სერვისის მიმწოდებლები. მათ აქვთ გარკვეული სახის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. მოგეხსენებათ, რომ 2005 წლიდან

საქართველოში ჩამოყალიბდა დღის ცენტრების მომსახურება, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება. უნდა ითქვას, რომ მათი შექმნა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამავე დროს გააჩნია მთელი რიგი ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის ამ სერვისის განვითარებას. არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვმართავენ ჩვენ იმ პრობლემებით, რომლებიც ექმნებათ მუშაობის პროცესში და ეს შეიძლება გამონეგული იყოს სწორედ ჯანდაცვის სამინისტროს და მას დაქვემდებარებული უწყების არასაკმარისი კოორდინირებული მუშაობის შედეგად. ჩვენ ვცდილობთ ყურადღებით მოვისმინოთ ის პრეტენზიები და პრობლემები, რომელიც მათ გააჩნიათ და შემდეგ გადავწყვიტოთ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანიზაციებთან, ამ შემთხვევაში შრომის, ჯანდაცვის და სიცუზრუნველყოფის სამინისტროსთან. ამ საკითხების ლობირებით ვეხმარებით არასამთავრობო ორგანიზაციებს თავიანთი რესურსების განვითარებაში.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღის ცენტრების გამოცხადებული პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლება ენიჭება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებს და მათ ხშირად უჭირთ იმ ბიუროკრატიული პროცედურების გავლა, რომლებიც საჭიროა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. ამ მიმართულებით ჩავატარეთ ტრენინგები, სადაც მონეგული გვყავდა ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ამით დავეხმარეთ არასამთავრობო საინვალიდო ორგანიზაციებს იმ ცოდნის შექმნაში, რომელიც საჭიროა სატენდერო კონკურსში წარმატებით მონაწილეობისათვის. ასევე, მათ ვეხმარებით და ამით ერთმანეთს ვაძლიერებთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით. მოგეხსენებათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სფეროს განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ვცდილობთ დავეხმაროთ არასამთავრობო ორგანიზაციების დონორებთან ურთიერთობის გააქტიურებას და ხელი შეუწყოთ ღირსეული პროექტების დაფინანსებას. როდესაც ვხედავთ რომ ორგანიზაციას აქვს ძალიან კარგი იდეა და სურს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ვცდილობთ ხელი შევეწყოთ მათ დაახლოებას და ამ პროექტის განხორციელებას. აგრეთვე, ჩვენ ვთანამშრომლობთ არა მარტო თბილისის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან სრულიად საქართველოს მასშტაბით. ვცდილობთ ადგილზე გავეცნოთ არსებულ პრობლემებს და დავამყაროთ უფრო აქტიური და საქმიანი ურთიერთობები რეგიონულ არასამთავრობო სექტორთან. ამ დახმარებით ვცდილობთ გავაძლიეროთ ჩვენი რესურსი და უფრო მგრძობიარენი გავხდეთ იმ პრობლემების მიმართ, რაც მათთვის არის დამახასიათებელი და ერთად მოვძებნოთ სახელმწიფოსთან ამ პრობლემების გადაწყვეტის საშუალებები.

არც ადრეულ პერიოდში და არც ახლა არ ით-

ვალისწინებენ ბინათმშენებლობის დროს იმ ელემენტებს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუქმნიდა კომფორტულ პირობებს. ასეთივე პირობებია მინისქვეშა და მინისზედა გადასასვლელებში. იშვიათი გამონაკლისის გარდა არ არის გაკეთებული პანდუსები, ხმოვანი სიგნალები და ა.შ. ტროტუარები სავსეა მანქანებით, სადაც საინვალიდო ეტლით და უსინათლოს ჯოხით კი არა, ჯანმრთელ ადამიანებს უჭირთ ფეხით გადაადგილება. უფრო მეტიც. არიან სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც არ გააჩნიათ საინვალიდო ეტლით მიღების საშუალება. თქვენ რას ფიქრობთ?

ჩვენ ხშირად მოგვმართავენ მოქალაქენი, რომ მათ არ აქვთ გადაადგილების და მათთვის საჭირო დანესებულებებში შესვლის საშუალება, რომელიც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ უხეშად ირღვევა მათი მოქალაქეობრივი უფლებები. ჩვენ დავინტერესდით ახლად მშენებარე ობიექტები რამდენად აკმაყოფილებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შენობაში შეღწევის აუცილებელ პირობებს. ამ გამოკვლევამ გამოავლინა ფაქტი, რომ ის, რაც კანონით არის განმტკიცებული, ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთ შენობაში არის გაკეთებული შესასვლელი დამხმარე საშუალებები, მაგრამ არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომელიც მოგვცემდა მათი სრულფასოვანი გამოყენების საშუალებას. ფაქტი ის არის, რომ ასეთი ბარიერები მრავალია დედაქალაქში. რეგიონებში კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. იგივე პრობლემებია საქალაქო ტარნსპორტით მგზავრობასთან დაკავშირებით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისში მოძრაობა დაიწყო იმ ავტობუსებმა, რომლებიც ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ჩვენ გადავამოწმეთ და დაფუკავშირდით იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ ტრანსპორტით სარგებლობით. აღმოჩნდა, რომ არავინ იცოდა ამ ავტობუსების ნომრები, მოძრაობის მარშუტი, განრიგი და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს იყო უხილავი ავტობუსები, რომლებიც თეორიულად არსებობდნენ, ხოლო პრაქტიკულად ამ ადამიანებს არ უნახავთ. შესაბამისად, ეს პრობლემა, დარჩა პრობლემად.

საყურადღებოა, რომ თითქოს ეს საკითხი კანონმდებლობით რეგულირდება და მისი პრაქტიკულად განხორციელება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ჩვენს რეალობაში წინსლა არ შეიმჩნევა. ამ მოვლენას შეიძლება მრავალმხრივი ახსნა ჰქონდეს. პირველ რიგში ის, რომ ვინც არ ასრულებს კანონს, უნდა დაისაჯოს კიდეც. მეორე და ვფიქრობთ გადამწყვეტი, ამ მიმართებით არის საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე, რომლის ამაღლებაზეც ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ კანონი არ უნდა დაირღვეს. ამ მიმართებით უნდა გაძლიერდეს საზოგადოების ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განუხრელი დაცვის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენს მოქალაქეებს არ აქვთ გააზრებული ის ფაქტი, რომ ადამიანებს, რომლებ-

საც გააჩნიათ ესა თუ ის შეზღუდვა, აქვთ ისეთივე უფლებები, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს და მათი უფლებების დაცვა და პატივისცემა გარდა კანონმდებლობისა, უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოების ცნობიერების და თვითშეგნების საშუალებით.

ამ მხრივ ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა იმ უწყებების მონიტორინგი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ კანონის აღსრულებაზე. ვცდილობთ ყოველი ფაქტი, რომელიც ჩვენთვის გახდება ცნობილი, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ და გამოვწვინოთ მათი გადაწყვეტის გზები. მართალი გითხრათ, ვერ გეტყვით, რომ ძალიან წარმატებული ვართ ამ მიმართებით, მაგრამ მიზანდასახულად ვმუშაობთ და ნაბიჯ-ნაბიჯ აუცილებლად განვახორციელებთ ამ საქმეს.

სახალხო დამცველის აპარატი ბევრს მუშაობს პატიმართა უფლებების დაცვის საკითხებზე, რაც ძალიან კარგია. თქვენი უწყება რას გააკეთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების უფლებების დაცვის მიმართულებით?

ზოგადად ჩემი ხედვა ამ მიმართულებით არის ის, რომ როდესაც საქმე ეხება ინვალიდ პატიმრებს, მათთვის უნდა არსებობდეს სპეციალური დანერგვები, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი იმისთვის, რომ ამ პირებმა ღირსეულად მოიხადინ

სასჯელი. ან კიდევ, რომელიმე დანერგვებულაში უნდა იყოს ცალკე შექმნილი ყველა ის პირობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ამ პირებს სასჯელის მოხდის პერიოდში თავი იგრძნონ ნორმალურად. ეს გახლავთ ჩემი ძირეული პოზიცია ამ საკითხის მიმართ.

და ბოლოს, საქართველოში არ არის ისეთი გამოცემა, რომელიც დაიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, მოკლედ რომ ვთქვათ, იქნებოდა მათი დამრიგებელი და მეგობარი. ეს მისია იკისრა ჩვენმა ჟურნალმა “იმედი+” —მა. რას უსურვებდით ამ ჟურნალს, როგორც მოქალაქე და სახალხო დამცველი?

მე მსურს რომ თქვენი ჟურნალი იყოს წარმატებული, ჰყავდეს ბევრი მკითხველი და რაც მთავარია ხშირად ინტერსდებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი თემებით, რომლებიც სამწუხაროდ ბევრის მიერ მივიწყებულია.

მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის და იმედს გამოვთქვავთ, რომ სახალხო დამცველის აპარატის და მისი ხელმძღვანელის სახით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰყავთ მათი კანონიერი უფლებების დამცველი ჭეშმარიტი გუშაგი.

ხახომ და ხობოხი უნდა შევისწავლოთ მე და თქვენ

თამარ ბაბუაძე

ბაბრძელაძე, ღასაწყისი №7, №8.

ავტორის თანხმობით სტატია გადმობეჭდილია ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ 48-ე ნომერიდან

სიმნიშვნის ასაკი

— რუსო, მიყვარხარ, — ყვირის შორიდან გიორგი.

— მეც მიყვარხარ, გიო, — პასუხობს რუსიკო.

— რუსო, როდის წავალ დილომში, როდის?

გიორგი 18 წლისაა. სათვალე უკეთია, რომელსაც ხშირ-ხშირად ისწორებს ხოლმე და როცა დაგინახავს, ოდნავ არეული ნაბიჯით, ენერგიულად გამოექანება შენკენ და მაგრად ჩაგეხუტება. უცებ გავხდი მისთვის თამუ, არც ლევანის წვერებმა დააფრთხო და დაუძმაკაცდა. იცის, რომ უკვე დიდი ბიჭია და უფლება აქვს, თანატოლებივით გვესაუბროს. წინა შეხვედრაზე მთხოვა, — თათრული მუსიკა მომწონს და დისკი მინდაო. ვერ ვუშოვე, მაგრამ მაპატიო. უხარია ის, რომ მალე დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს.



18 წლის ბიჭი “პირველი ნაბიჯის” ბავშვთა სოფელში ველარ დარჩება. “პირველმა ნაბიჯმა” მისთვის საქმე, თავშესაფარი, მოკლედ, მომავალი უნდა იპოვოს. რუსიკო მეუბნება, რომ პატარებს რა უნარსაც შენიშნავენ, იმ უნარის მიხედვით ასწავლიან ხელსაქმეს. გიორგი სოციალური თერაპიის სახლის სახელსონოში დადის და ბლოკნოტებს ამზადებს. ბავშვებმა იციან ხეზე კვეთა და კომპიუტერზე ბეჭდვაც.

თუმცა ის ფაქტი, რომ ამ ბიჭებს ჩვეულებრივ შეუძლიათ გარკვეული სამუშაოს შესრულება, არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი თანატოლებივით გაუიოლდებათ სამსახურის შოვნა. სისტემაში, რომელშიც მათ არსებობას და მათ უფლებებს არც ინფრასტრუქტურა, არც საჯარო დანერგვებების

საკადრო პოლიტიკა და არც სოციალური დაზღვევა ითვალისწინებს, რთულია, ირწმუნო ის, რასაც “პირველი ნაბიჯის” ბავშვთა სოფელში პატარებს მოსვლის დღიდან ასწავლიან — არ არსებობს ისინი და ჩვენ, არსებობს მხოლოდ — “ჩვენ”. როდესაც იწყება დამოუკიდებელი ცხოვრება, “პირველი ნაბიჯის” ბავშვები სულ სხვა რეალობას ეჯახებიან. ამიტომაც თინეიჯერებისთვის პერსპექტივის შეთავაზება “პირველი ნაბიჯის” ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავსატეხია.

ბოლოს ამ თემაზე რუსიკო ბოჭორიშვილს თებერვალში ვესაუბრე. მისგან გავიგე, რომ ერთი წლის წინ პირველად მოხდა ასეთი რამ: სამოქალაქო რეესტრში დაასაქმეს ადამიანები, რომელთაც გადაადგილება არ შეუძლიათ და ეტლში სხედან. ისინი კომპიუტერებთან დასვეს და საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შეტანა დაავალეს. თუმცა, ეს მხოლოდ ერთჯერადი ინიციატივა იყო, რომელიც ჯერჯერობით არც ერთ დაწესებულებას არ გაუმეორებია. ამიტომ “პირველი ნაბიჯმა” ასეთი რამ მოიფიქრა: გიორგის და კიდეც სამ სხვა 18 წლის ბიჭის უქირავეს ბინა, სადაც ისინი “პირველი ნაბიჯის” დედებისა და დეიდების მეთვალყურეობის ქვეშ ერთად იცხოვრებენ, ივლიან “სამსახურში” — დაამზადებენ ბლოკნოტებს და გარკვეულწილად შეიქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებელი ცხოვრება. “პირველი ნაბიჯის” ეს გადანყვეტილება არის ალტერნატიული გზა იმ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელიც შანსს და გარანტიას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს ვერ სთავაზობს. თუმცა, არსებობს ამ რეალობის კიდეც უფრო დიდი ალტერნატივა. ეს გრემია.



რეალობის ალტერნატივა

გრემში შობის წინა დღეს მივდივართ. “პირველი ნაბიჯის” მრჩეველთა საბჭოს წევრი, ლალი მესხი და პედიატრი ირმა გოცირიძე ჩემი მეგობრები არიან. მათგან ვისმენ გამაოგნებელ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ თქვა უარი ნიკა კვაშალმა საკუთარ ცხოვრებაზე. თბილისში გაყიდული ბინის სანაცვლოდ, როგორ შეიძინა გრემში ერთი ისტორიული შენობა, როგორ წაიყვანა თან თემქის ბავშვთა ინტერნატიდან 16 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბიჭი არსენაც და როგორ გაუღო შემდეგ კარი ყველა გაჭირვებულს, მიუსაფარს, შეზღუდული უნარისას და ასევე უბრალოდ მოხალისე ადამიანს. ნიკა კვაშალი თავის თავს ნიკა-პაპას ეძახის, გრემელებიც მას ასე მიმართავენ. სიტყვაძუნწია და საკუთარი თავის, არჩევანის და მოტივების შესახებ ლაპარაკს ურჩევნია, გრემელები გაგაცნოს. მეც ეზოში გავდივარ და ნაცნობებს ვიძენ.

გრემის თემის ვეტერანი ბინადარი არსენა ახლა

უკვე 30-ს გადაცილებული კაცია. მაგრამ მაინც ბავშვურად ილიმება და წითლდება, როცა რამეს კითხავ. დილას ძროხის წველით იწყებს. სანამ 10 საათზე, სამზარეულოში საუზმეზე შეიკრიბებოდნენ, არსენასავით ყველა შრომობს. ზურა სარეცხის თადარიგს იჭერს, გოგოები ოთახებს ალაგებენ. გრემის თემს თავისი დირექტორი, მენეჯერები და მეურნეები ჰყავს. ამ სტატუსების გარეშე, საქმე ვერც აენწყობოდა. უნიკალური ხის საჭრელი დანადგარებით გამართულ ხის საამქროს (ეს დაზგები გრემს უცხოელმა მეცენატმა აჩუქა), ვენახს და ღვინის მარანს თავისი პასუხისმგებელი პირები სჭირდება, ყველაფერმა უშეცდომოდ რომ იმუშაოს. გრემელები თვითონვე უძღვებიან დიდ მშენებლობასაც, სულ თავისი ძალებით აშენებენ უფრო დიდ სახლს, სადაც უფრო მეტი ადამიანი დაეტევა. ამხელა მეურნეობას ყველა ერთად უძღვება ნატო, ზურა, ლევან პაპა — ადამიანები, რომლებიც აქ გააზრებული არჩევანის შედეგად მოვიდნენ და არსენიც, დათო და ნინო — რომლებიც, თავიანთი გარეგნული თუ გონებრივი ნაკლის მიუხედავად, მაინც მათ თანასწორებად ითვლებიან. ამ თემში მცხოვრები ადამიანებისთვის, რაც უნდა

შეუძლებლად მოგეჩვენოთ, არ არსებობს ზღვარი სტატუსებს, დიაგნოზებს და გარეგნობებს შორის. აქ შეიძლება ნახო ქერათმიანი იულია, რომელიც ისე სხარტად ვერ აზროვნებს, ხშირად ღიზიანდება და ბავშვურად რეაგირებს მოვლენებზე, მაგრამ მოსიყვარულე და მზრუნველი დედაა. მას 12 წლის გოგონა, ნინიკო ჰყავს, მაგრამ როდესაც რამდენიმე წლის წინ თემის ჭიშკართან უცნობებმა ბავშვი დატოვეს და გაიქცნენ, მე ვიშვილებო, — მაშინვე მოინდომა იულიამ. 3 წლის მათეც, რომელსაც შუბლზე ჩამოყრილი თავთავისფერი თმა აქვს და ჯანმრთელი ბავშვია, იულიას დედას ეძახის და ის მართლა დედასავით უყვარს. იულია მათეს აძლევს იმას, რაც აქვს — სიყვარულს, მათეს აღზრდასა და განვითარებაში კი თბილისიდან ყოველ კვირას ჩამოსული ირმაც მონაწილეობს, თემის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან პაპაც, თემის ბუღალტერი და ძალიან ყოჩაღი გოგო ნატოც და თემის სოციალური მუშაკი — გალინაც. ახლა მათე ლევან პაპას მხარზე ზის და დინჯი სახით დაგვყვება თემის მეურნეობაში, გზად იულია გვხვდება. იულია დღეს ცუდ ხასიათზეა, ეჭვიანობს შვილზე — ჩვენთან ერთად რომ დადის, ამიტომ მათეს ზედაც არ შეხედავს, გაბრაზებული ჩაგვივლის გვერდით. ბავშვი კი გულამომჯდარი იწყებს ტირილს. დედაა, არ ნახვიდევე, დედააა... პატარას გოგოები ამშვიდებენ — მათე ხომ მათი გაზრდილიცაა და შვილივით უყვართ.

გალინა მაღალი, მომხიზვლელი, ქერათმიანი გოგოა, რომელმაც სოციალური მუშაკის განათლება

ახლახან მიიღო და თემის პირველი დიპლომიანი სოც. მუშაკია. გალინა მთელი დღე დაკავებულია. ის იმ 33 თემელზე ზრუნავს, რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ. ესმარება მათ ჩაცმაში, ბანაობაში, ემოციების დაბალანსებაში. მათი ნახვა მინდა, ირმას მეორე სართულზე აყვავარ. დერეფანში არავინაა, გარშემო სრული სიჩუმეა. მერე უცებ ვაღებთ ყრუ კარს და ძალიან ვიბნევი. ოთახში პატარა ნათურა ციმციმებს, ტელევიზორი დაბალ ხმაზეა ჩართული, ზოგი ზის, მონოტონურად ამოძრავებს თავს და სივრცეში იყურება, ზოგი ხელებგაშლილი დადის, გეჯახება, მერე გეხება, გსინჯავს, გამონმებს, თითქოს, რალაცის თქმა უნდა, ვერ ამბობს, უკან მოგყვება. ირმას ერთ-ერთი ბავშვის აღელვებული დედა ხვდება, — რა კარგია, რომ ჩამოხვედით, ჩემი პატარა დღეს ძალიან გალიზიანებულია, იქნებ, ნახოთო. ირმა ოთახში რჩება, მე გარეთ გამოვდივარ და ვხვდები, რამხელა ძალისხმევა და შინაგანი წონასწორობა სჭირდება თუნდაც ირმას და თუნდაც გალინას იმისთვის, რომ ამ ბავშვებზე იზრუნონ, მათ გაუგონ, დაამშვიდონ და მოეფერონ.

გალინა ფიქრობს, რომ გრემს არასდროს დატოვებს; აქაურმა გარემომ თუ არ დაგაფრთხო, მერე ნასვლა ძნელიაო, — ამბობს. როგორც ჩანს, აქ გალინასავით ფიქრობს ყველა. ამიტომაც ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრობენ ადამიანები სრულიად განსხვავებული და ხშირად ტრაგიკული წარსულით, ტრავმებით და იმედგაცრუებებით. გრემი მათთვის ჯავშანია, რომელიც გაცილებით უფრო სასტიკი ცხოვრებისგან იცავთ, რომელიც ღობის გადაღმა, “გარეთაა”.

... ნამოსვლის წინ ეზოში ერთ ქერა ბიჭს ვამჩნევ. ეს აი, ის გერმანელი მოხალისეა, რომ გაიმბობღითო, — მეუბნებიან, — ჩვენი თემის შესახებ გერმანიაში გაიგო და დასახმარებლად ცოტა ხნით ჩამოვიდაო. უცებ წარმოვიდგინე, როგორ ზის საშუალო სტატისტიკური ქართველი ბიჭი ინტერნეტთან, როგორ ეძებს უპოვართა თავშესაფრებს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში და როგორ არჩევს, სად წავიდეს, ვინ გაიცნოს და ვის დაეხმაროს. ვხვდები, წარმოდგენაში დახატული ეს სურათი უტოპიურია. უტოპიურია იმიტომ, რომ ქართველი ბიჭები მოხალისედ ჯერ არც გრემში ყოფილან. უტოპიურია იმიტომაც, რომ ჩემ და ჩემზე უფროს თაობას სოციალური ვალდებულების განცდა დაჩლუნგებული აქვს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება, მოგინდეს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ჩახვიდე თუნდაც გრემის თემში და იმუშაო; არ დაგაფრთხოთ ზინას მიღმურმა მზერამ, რომელიც სულ კართან დგას, თავისთვის ილიმება, თავს აქნევს, არავის ელაპარაკება, სხვა პარამეტრებით აზროვნებს და თავის სამყაროში ცხოვრობს.

მეორე, მესამე, მეოთხე... ნაბიჯი

კასპის პანსიონატი რამდენიმე თვის წინ დაიხურა. იქ დარჩენილი ბავშვები სხვადასხვა ადგილას გადანანილდნენ. 24 პატარა კი კოჯრის სააღმზრდელო დაწესებულებაში დაასახლეს. კოჯორი “პირველი ნაბიჯის” და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტია. შეთანხმება, რომელიც ორიოდ წლის წინ გააფორმეს, ასეთი იყო: მთავრობა იზრუნებდა ბავშვთა სახლის შენახვასა და ფინანსურ უზრუნველყოფაზე, “პირველი ნაბიჯი” კი მოამზადებდა აღმზრდელებს, ასწავლიდა მათ ბავშვებთან ურთიერთობის სპეციფიკას. “პირველი ნაბიჯის” ერთჯერადი გრანტით გარემონტდა კოჯრის სახლის შენობა, 2008 წლის 1 მაისს კი აქ უკვე გადმოიყვანეს კასპში დარჩენილი 24 ბავშვი. ბავშვთა სახლის დირექტორი მაია ჩიტაიშვილი იხსენებს, რომ, რამდენიმე თვისანი მომზადების მიუხედავად, პირველი დღე მაინც მძიმე გადასატანი იყო. თითოეული ბავშვის პრობლემის გარკვევა, ალღოს აღება გამძლე ნერვებს და მოთმინებას საჭიროებდა. ბავშვებს მართლაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰქონდათ. ამიტომ ჯერაც ძალიან ჩამორჩებიან “პირველი ნაბიჯის” ბავშვთა სოფელში მცხოვრებ თანატოლებს. როგორც ჩანს, ექვსი თვე არ არის საკმარისი დრო, კასპის რამდენიმეწლიანი კომპარის ბოლომდე დასავინყებულად. მაია ჩიტაიშვილიც ფიქრობს, რომ რეალური შედეგები ბავშვებს 1-2 წელიწადში დაეცემათ. მანამდე ინდივიდუალური განვითარების ვრცელი გზაა გასავლელი. პატარები, რომლებიც კოჯორში გადმოყვანის პირველ დღეებში კენჭებს და ბალახს ქამდნენ, ახლა სტუმრებს იღებენ, თამაშობენ, ზოგი სკოლაშიც დადის.

ლალი მესხი ამბობს, რომ ამაზე დაბალი სტანდარტი, როგორც კოჯრის სახლს აქვს, სახელმწიფომ არც ერთ ინსტიტუციაში არ უნდა დაუშვას. ეს მინიმალური ზღვარია. ამის ქვევით უკვე კასპის გამოცდილებაა. ეს გამოცდილება კი სამუდამოდ უნდა ამოვიშალოთ მესხიერებიდან.

“პირველი ნაბიჯი” საკუთარ თავზე იღებს იმას, რომ ეს მოგონებები, პირველ რიგში, ბავშვებს დაავინწყოს. შემდეგი ნაბიჯი კი, ალბათ, ის არის, რომ თვითონ საზოგადოებამ გადაუხვას ხაზი საბჭოურ ცნობიერებას, მოშალოს საზღვრები სტატუსებს შორის და როდესაც ეტლიანი თამუნა დიდი გოგო გახდება, თავის წრეში შემოუშვას, სცენაზე გამოსულს მოუსმინოს და ტაში დაუკრას; როდესაც გიორგის რომელიმე საჯარო დაწესებულებაში, ვთქვათ, ქსეროქსის აპარატთან მომუშავეს შეხვდება, თვალი არ აარიდოს და მის გვერდით იმუშაოს; როდესაც რომელიმე საშუალო სტატისტიკური ქართველი ბიჭი თვითონ გადანყვეტს წავიდეს გრემში, გაიცნოს არსენა, ზინა, ნინო, დათო და სხვები, დაუმეგობრდეს მათ და მათზე იზრუნოს. მეორე, მესამე, მეოთხე ნაბიჯიც, ალბათ, ეს არის.



ვალოლოგიური განათლება - წარმატებული სახელმწიფოს საპიზიტო ბარათია

ივორ დოლიძე

ბაბრიძე, ღასაწყისი №7, №8,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი



კვებას, როგორც “სიცოცხლის ხარისხს” ენიჭება ძალზე მნიშვნელოვანი როლი. საკვები პროდუქტების ნივთიერებები შეადგენს სტრუქტურული ინფორმაციის ძირითად ნაკადს და განსაზღვრავს ადამიანის ყველაზე ინტიმურ დამოკიდებულებას გარეთა გარემოსთან,

რომელიც ორგანიზმში შესვლისას ქმნის შიდა ეკოლოგიას. როგორც კ.მარქსი აღნიშნავდა: “ადამიანი ცხოვრობს ბუნებით. ეს კი ნიშნავს, რომ ბუნება არის მისი სხეული. .რომ ბუნება უწყვეტად თავისთავთან არის დაკავშირებული, რადგან თვით ადამიანი ბუნების ნაწილია”.

თანამედროვე მეცნიერული მედიცინა მრავალი წლის მანძილზე იყენებდა მცირე რაოდენობის ნამალთა საშუალებებს, რომლებიც ზრდიდა ორგანიზმის არასპეციფიურ წინააღმდეგობას (გლუკოზა, ვიტამინები, კოფეინი, სტრეპტინი და ა.შ.) და ძირითადად გამოიყენებოდა ავადმყოფთა რეაბილიტაციაში. სხვადასხვა ინტენსიობის ფიზიკური და გონებრივი მუშაობის აღრიცხვისას შემუშავდა ენერჯის წყაროებისა და მათი მობილიზირების ხერხები, დადგინდა ნერვულ-ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები, შემუშავდა ფარმაკოლოგიური საშუალებების კლასიფიკაცია, რაც ხელის შემწყობია ფიზიკური მუშაობის უნარიანობის ოპტიმიზირების და წარმოდგენილია შემდეგი სტიმულატორებით. ”მამობილიზირებელი” ტიპის, “მაეკონომიზირებელი” და “მცენარეული” ტიპის სხვადასხვა (ხშირად გაურკვეველი) მოქმედების მექანიზმების ჩართვით.

ფარმაკოლოგიურ საშუალებებს გააჩნია ყველა საფუძველი, რათა განვითარდეს, როგორც ზოგადბიოლოგიური მეცნიერება, რომლის დროს შესაძლებელი გახდება რიგი კანონზომიერებების დადგენა, ცოცხალის რეაგირება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე. ამასთან, ფარმაკოსანაცია,

რომელიც მიმართულია ჯანმრთელი ადამიანების ყოფით ცხოვრებისაკენ, წარმოებისაკენ და აგრეთვე მძიმე ექსტრემალურ სიტუაციებისაკენ, გადაჰყავს ფარმაკოლოგიისაკენ ორგანიზმის ცხოველმოქმედების ღრმა სიღრმისეულ დონეზე.

აღმოსავლური მედიცინის მიმდევრებს (იგულისხმება ტიბეტური, ჩინური, ინდური. . .) მიაჩნიათ, რომ ავადმყოფობა გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე ამას ადამიანი ფიზიკურად შეიგრძნობს. ისინი დაავადებების გამომწვევ მიზეზებს ძირითადად ეძებენ ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევაში (არასწორი კვება და ქცევა, შიში, პასიური ცხოვრება, ბუნების კანონების სანინააღმდეგო ქმედებები და ა.შ.). აღმოსავლური მედიცინა ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის გამოყოფს ოთხ ეტაპიან საფეხურს (ჯანსაღი ცხოვრების წესის სავალდებულო დაცვა, ნებელობის (ნებისყოფის) გამომუშავება, ბალახებისაგან დამზადებული წამლების მიღება, აუცილებლობის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა), ყოველი საფეხურის უარყოფა ამძიმებს მკურნალობის ეფექტურობას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის სტრატეგიის შემუშავება და მისი ტაქტიკური უზრუნველყოფა ძალზე დიდი, მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ამ საკითხის გადანყვეტა დამოკიდებულია არა მარტო მედიცინისა და ჯანდაცვის შესაძლებლობებზე, არამედ მრავალი მეცნიერების მიღწევებზე და სახელმწიფო ებრივი სტრუქტურების მხარდაჭერაზე.

დღეს სულ უფრო მეტად აღნიშნავენ ადამიანზე მიმართული კომპლექსური მეცნიერების, ადამიანის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობას. უახლოეს პერიოდში ორივე მიმართულება რეალობად იქცევა და მედიცინა მასში დაიკავებს ღირსეულ ადგილს, რადგან ვალეოლოგიის ობიექტად ძირითადად მოიაზრება ჯანმრთელი ადამიანი.

ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებზე, არამედ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მაჩვენებელზე. ჯანმრთელობა უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიმნიფის, კულტურისა და სახელმწიფო წარმატებების მთავარი სავიზიტო ბარათი.

“ჯანმრთელობისა” და “დაავადების” ცნებების განმარტება მეცნიერებისათვის დღესაც ყველაზე სადისკუსიო და გადაუწყვეტელ საკითხად რჩება. თანამედროვე ვალეოლოგია ითვლის ჯანმრთელობის 100-ზე მეტ განმარტებას. ტერმინის საბოლოო ვარიანტად აღიარებუ ღია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების დებულება, სადაც ჯანმრთელობა განიხილება, როგორც ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა.

ინვალიდობა დაავადების ან ტრავმის შედეგად ადამიანის ზოგადი ან პროფესიული შრომისუნარიანობის დარღვევაა (დაქვეითება ან დაკარგვა), გერმანელმა ექიმმა უ.ზუნდერმა შემოიღო ცნება “ჯანმრთელი ინვალიდი”. ის თვლის, რომ მიუხედავად იმისა, ანუხებს თუ არა ინვალიდებს სხეულის ესა თუ ის დეფექტი, ისინი არსებითად არ ითვლებიან ავადმყოფ ადამიანებად, მათ გააჩნიათ მხოლოდ თანდაყოლილი ან შეძენილი დაავადებები(ტრავმები), მუდმივად უცვლელი დეფექტები, რომელთა მკურნალობა არ ექვემდებარება მედიკამენტოზურ თერაპიას. ამასთან, თუ ორგანიზმის დანარჩენი ნაწილები პრაქტიკულად ჯანმრთელია, მათ შეუძლიათ ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშების შესრულება და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა.

დღეს გასათვალისწინებელია ისიც, რომ თა-

ნამედროვე ეპოქაში წინათ არსებულმა ყველა დაავადებამ შეიცვალა მისთვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი და წარმოიშვა ახალი დაავადებების სახეობები, ე.წ. “ცივილიზაციის დაავადებები”, რომელიც მეცნიერთა გამოკვლევებით რაოდენობრივად რვა ათასზე მეტს ითვლის. პრაქტიკოსი ექიმების მხრიდან უცნობია თავისი წარმოშობით, კლინიკური მიმდინარეობითა და ამასთან, მკურნალობაც პროგნოზულად უიმედოა. ამის გათვალისწინებით მეცნიერებამ ინტეგრირებული მიდგომით (პროფილაქტიკული მედიცინის, პედაგოგების, ფსიქოლოგების, და სხვა დარგის მეცნიერთა მონაწილეობით) უნდა შეიმუშაოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების პროგრამა, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელი ადამიანის ფსიქოფიზიკური მოდელის შექმნა, ჯანმრთელი ცხოვრების პრინციპების შემუშავება და მისი დაცვის კრიტერიუმების ჩამოყალიბება (გარეთა გარემოს ცვალებად პირობებთან შემგუებლობა, ფიზიკური აქტივობა, რაციონალური კვება და ა.შ.).

ვალეოლოგიის დარგის განვითარების პროგრამამ მომავალში უნდა განაპირობოს არსებული ჯანდაცვის სისტემის დემონტაჟი, ცალკე დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით, ცალკე ავადმყოფებისათვის, ცალკე ჯანმრთელებისათვის.

ღია წერილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ ნიკა გვარამიას!

„უსინათლოებს შეხების ორგანოებით გარკვეული ჭეშმარიტებანი ეძლევათ და უვითარდებათ, რომლის გარეშეც ცხოვრობენ ჯანმრთელი ადამიანები“ (უსინათლო და ყრუ-მუნჯი მეცნიერი ელენ კელერი).

„მიუხედავად ყველაფრისა, ჩემს მდგომარეობას აქვს თავისებური ხიბლი, რომელზეც უარს ვერაფერი მათქმევინებს“ (უსინათლო ფსიქოლოგი ა.მ. შჩერბინა).

„მუდამ გვახსოვდეს, რომ უნდა აღვზარდოთ არა „უსინათლო ბავშვი“, არამედ — ბავშვი. მას უნდა მოვექცეთ ისევე, როგორც მის ჯანმრთელ თანატოლს“ (აკად. ლ. ს. ვიგოდსკი).

„რაც თვალს აკლდება, სულს ემატება“ (პოეტი ო. ჭილაძე).

უსინათლობა, ცხადია, ბედნიერება არ არის, რადგან ასეთი ადამიანი მოკლებულია „უთვალავი ფერით“ შემკული ქვეყნის ხილვის დიდებულ განცდას; მაგრამ, მეორე მხრივ, არც ტრაგედიაა, რადგან უსინათლოს ეძლევა საშუალება, „შინაგანი თვალით“

მოიხილოს ადამიანის სულის სიღრმეებში დამარხებული არანაკლებ ფერადოვანი და საინტერესო სამყარო.

საკუთარი ფიზიკური ნაკლის ღირსეულად ტარება, ერთმანეთის, წიგნისა და მამულის სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე, სამართლიანობა... სხვაც ბევრი რამ ვისწავლეთ მე და ჩემმა მეგობრებმა საგულდაგულოდ შერჩეული პედაგოგ-აღმზრდელების მეშვეობით იმ სკოლაში, რომელსაც დღეს თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონი ჰქვია. ეს სასწავლებელი 110 წლის წინათ დააარსეს ქველმოქმედმა ადამიანებმა, რათა უსინათლო ბავშვებს სრულფასოვანი განათლება მიეღოთ. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან ერთმანეთის გვერდით მომუშავე მხედველი და უსინათლო პედაგოგები, რომელთა ღვაწლში უკანასკნელთა წვლილი განსაკუთრებულია. უსინათლო პედაგოგი მხოლოდ საგნის მასწავლებელი როდია, იგი დიდი იმედია, გზამკვლევა არა მარტო მოსწავლეების, არამედ მათი მშობლებისთვისაც, რადგან ხშირად მშობელი

სასონარკვეთილია, შვილი გამოტირებულიც ჰყავს, მაგრამ როცა ხედება სკოლაში მომუშავე უსინათლო პედაგოგს, ესაუბრება მას, რწმენა თანდათან უბრუნდება და უკვე ნათელ ფერებში ხედავს შვილის მომავალს.

ტიფლოპედაგოგიკაში ორი ვერსიიდან: ასწავლოს თუ არ ასწავლოს უსინათლო პედაგოგმა უსინათლო ბავშვებს, პირველის სასარგებლოდ გაცილებით მეტი არგუმენტი არსებობს, ბოლო წლების განმავლობაში კი სწორედ მათი და მათი თანამგრძობი თანამშრომლების მდგომარეობა გაუარესდა.

12 წელიწადს ვსწავლობდი, ხოლო შემდეგ 13 წლის განმავლობაში უკვე მასწავლებლად მოსული ახლა თავად ვასწავლიდი ბავშვებს, რომ ფიზიკური თვალის მდგომარეობა ჩვენზე არ არის დამოკიდებული, სულის თვალის სიბრმავე კი არავის გვეპატიება; რომ, როცა დრო მოვა, უფალი გვაცხონებს არა ჩვენი თვალის ფერთა თუ ფორმით, არამედ ღვანლით, ხოლო სიკეთის ქმნა უსინათლოსაც ისევე შეუძლია, როგორც მხედველს.

აკადემიკოსი ვიგოდსკი სიბრმავეს ფიზიკურ ნაკლად მხოლოდ პირობითად განიხილავს, ხოლო წმიდა დედა მატრონასთვის უსინათლობას ხელი არ შეუშლია სრულყოფის გზაზე სკოლაში.

საგნის სწავლების პარალელურად, ბავშვებთან ერთად ვამზადებდი საღამოებსა და კონცერტებს, საკუთარი სცენარებისა თუ კლასიკოსთა პიესების მიხედვით ვდგამდი სპექტაკლებს და ბედნიერი ვიყავი, როცა მათს გახარებულ სახეებს ვხედავდი.

დროსა და ენერგიას არ ვზოგავდი, რათა ჩემს მოსწავლეებს სკოლის წლები ღამაზად გაეტარებინათ, ხოლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თამამად გაეკვლიათ გზა საზოგადოებაში.

ასე გრძელდებოდა, ვიდრე სკოლაში ახალი დირექტორი არ მოვიდა; ახალი არც ეთქმოდა, ჩვენი კოლეგა იყო. მოვიდა „თავისი გუნდითა“ და განუსაზღვრელი უფლებებით, არა სამართლიანობის, არამედ „გუნდური პრინციპების“ ერთგული და ნათესავ-მეგობრების დასაქმების ხარჯზე სკოლიდან განდევნა პროფესიონალები, უსინათლოთა ფსიქოლოგიის მცოდნე, მათი მოყვარული, ღირსეული ადამიანები.

ადგილის შესანარჩუნებლად პედაგოგთა ნაწილმა მამებლობის პოლიტიკას მიმართა, ნაწილიც გულგრილად დადუმდა, ხოლო რამდენიმე „ურჩი“ ხმას ვიმაღლებდით და ვთხოვდით დირექტორს, მოფრთხილებოდა საუკეთესო კადრებს. მან კი, ნაცვლად იმისა, რომ ყურად ელო ჩვენი რჩევა, „შერისხულთა“ დევნა-შევიწროება დაიწყო: დაგვიწესდა ყოველდღიური თვალთვალი გაკვეთილებსა და შესვენებებზე, გვიკავებდა ხელფასებს, ადგენდა აქტებსა და ბრძანებებს და ამზადებდა საფუძველს ჩვენს გასათავისუფლებლად.

თანდათან დამიმძიმდა აქ ყოფნა, „სასუნთქი ჟანგბადი“ სულ უფრო ილეოდა. ასეთ პირობებში

შემოქმედებითი საქმიანობა კი არა, საგნის სწავლებაც ჭირდა. თუ ადრე ხალისით მივიჩქაროდი მშობლიური კედლებისაკენ, ახლა თავს ვაიძულებდი სკოლაში სიარულს.

სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე, ზედიზედ სამი შესანიშნავი თანამშრომელი გაათავისუფლა: აღმზრდელი, ძიძა და „დამხმარე კლასის“ უსინათლო პედაგოგი, რომლის კლასიც თითქოს განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე გააუქმა; რამდენიმე დღის განმავლობაში უსინათლო პედაგოგ თ. აბაშიას „არაეთიკური საქციელის“ გამო ბრძანებით ორჯერ გამოუცხადა საყვედური, რათა სულ მალე „იოლად“ დაეთხოვა სკოლიდან. სამეურვეო საბჭოზე, რომლის წევრიც ვიყავი, ამ ადამიანების შესახებ ვკითხე, რის გამო მან მეც და ქალბატონ აბაშიასაც „უზნეო“ გვინოდა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს.

ნებისმიერი ორგანოს პათოლოგიაზე მძიმე შეურაცხყოფილი სულის მდგომარეობაა, როცა პირამდე სავსე „მოთმინების ფიალაში“ წვეთიც აღარ ეტევა.

საკუთარ თავთან ორი დღე-ღამის ჭიდილის შემდეგ დავწერე განცხადება სკოლიდან იძულებითი განთავისუფლების შესახებ; ცხადია, „მონყალე“ დირექტორმა ჩემი უკანასკნელი თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა.

პედაგოგის სკოლიდან ამგვარი წამოსვლა ძალიან ჰგავს მის გარდაცვალებას!

„ყოფილიყავი შენთვის და არაფერი დაგიშავდებოდა“, — მითხრა რამდენიმე გულშემატკ ვიარმა; მე კი არაფერს ვნანობ, რადგან მართლა უზნეობად მიმაჩნია, ასწავლო ბავშვს, იყოს სამართლიანი და მოყვარული, ხოლო თავად გულგრილი დარჩე მოყვასის ბედის მიმართ.

„ჩალით ყოფილა ეს ქვეყანა დახურული“, — ნაღვლიანად თქვა ერთმა მზიანმა ქალბატონმა სკოლიდან წასვლისას, არა და არ მინდა დავიჯერო, რომ ასეა. მაშინ, როცა პარლამენტი მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის უსინათლოების) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, უსინათლო პედაგოგებს უსინათლო ბავშვთა სკოლაში აღარ დაგვედგომება.


ბატონო მინისტრო, მოგმართავთ თხოვნით, უკვე არა ჩემთვის, არამედ იქ დარჩენილ მოსწავლეთა და პედაგოგთათვის, ალადგინოთ სამართლიანობა სკოლაში, რომელიც იქ აღზრდილი ყველა უსინათლოსათვის ტაძარივით ნათელი და წმინდაა!

გირა ვიფხვაძე
თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა
საჯარო სკოლა-პანსიონის ყოფილი
პედაგოგი

პირველი ნაკადი

თეიმურაზ კობახიძე

მიმდინარე სასწავლო წელს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაგისტრანტთა და დოქტორანტთა პირველი ნაკადი მიიღო. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გავესაუბრეთ სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დურმიშხან ჩიტაშვილს.



დურმიშხან ჩიტაშვილი — ყველასათვის ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტი. ასეთი ფაკულტეტი კი საქართველოში ერთადერთია და მისი ძირითადი მიზანია ქვეყნისათვის მაღალი

კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზრდა და გარკვეული წვლილის შეტანა ქართული სპორტის აღორძინების საქმეში.

აქვე მინდა აღვნიშნო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დიდი დაინტერესება ამ დარგის განვითარების მიმართ. რექტორატი ყველაფერში დაგვეხმარა და საშუალება მოგვცა, რომ გავგეხსნა სპორტის მეცნიერების მიმართულებით მაგისტრატურა და დოქტორანტურა. შედეგმაც არ დააყოვნა და პირველ მიღებისთანავე 8 სტუდენტი ჩაირიცხა მაგისტრატურაში (6) და დოქტორანტურაში (2). დღეს კი კომისიამ 8 კაცის შემადგენლობით პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი — თავმჯდომარე, ნევრები — პროფესორი მამია ყოლბაია, ასოცირებული პროფესორი მარინა ფალავანდიშვილი, პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი, პროფესორი მერაბ თხელიძე, ასისტენტი პროფესორი დარეჯან ქობულაშვილი, ასისტენტი პროფესორი ლელა აფციაური, ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ მიქიაშვილი) ჩაატარა გასაუბრება ახლად მიღებულ კონტიგენტთან და, უნდა ითქვას, რომ კომისია კმაყოფილი დარჩა მათი მომზადებით და მიზანსწრაფულობით. სტუდენტებმა თავიანთი მეცნიერული სრულყოფისათვის აირჩიეს შემდეგი სპეციალობები — მწვრთნელის (3 სტუდენტი), სპორტის ფსიქოლოგიის (2), სპორტის მენეჯმენტის (1) და ადაპტიური ფიზიკური აღზრდის (2) სპეციალობა. მათი უნარი და მოწოდება საშუალებას მოგვცემს, რომ ქვეყანას აღვუზარდოთ კარგი სპეციალისტები.

მინდა ყურადღება გავამახვილო ადაპტიური ფიზიკური აღზრდის (შეზღუდული შესაძლებლო-


ბების მქონე მოზარდების ფიზიკური რეაბილიტაცია ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის საშუალებით) შესახებ. ეს სპეციალიზაცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ხანია დაინერგა და დრო დადგა ჩვენთანაც დაიმკვიდროს ადგილი, მით უმეტეს, ამ პროფესიის მიმართ საზოგადოებაში უკვე გაჩნდა გარკვეული მოთხოვნილება, რომელიც მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა რაოდენობაშიც აისახა. დოქტორანტურაში ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა ელისო მურვანიძემ, რომელსაც ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული აქვს გარკვეული კვლევითი სამუშაოები, მაგისტრატურაში კი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ნათია ჯოხარიძემ.



გარდა ამისა, ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარეობს გარკვეული მეცნიერული მუშაობაც. მიმდინარე წლის 23-24 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე “ოლიმპიური სპორტი და სპორტი ყველასათვის”, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის პროფესორ-მასწავლებლებმა და წამყვანმა მეცნიერ-მუშაკებმა, სადაც ზემოთხსენებული თემატიკის ირგვლივ განხილული იქნება თანამედროვეობისათვის საჭირო მრავალი საკითხი და მათ შორის, რა თქმა უნდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფიზიკური რეაბილიტაციის საკითხებიც.



ზაზა სინარულიძე დაიბადა 1960 წლის 18 აპრილს, ქ. ბათუმში, გამორჩენილი ისტორიკოსის, აკად. იური სინარულიძის ოჯახში. პროფესიით არის – ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე და იურისტი. ღვთისმშობილთა კავშირის თავმჯდომარე. მინიჭებული აქვს ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, არჩეულია საქართველოს სამედიცინო-სოციალურ, საქართველოს ტექნოლოგიურ და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრად (აკადემიკოსად), არის თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორი, ოთხი წიგნისა და 800-მდე პუბლიკაციის ავტორი.



გადაღებულია მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმებში “ზონა” (რეჟისორი რეზო გვარლიანი, 1990)—სილაგაზის კონკურსის ჟიურის თავმჯდომარისა და “მონეტალე ლანდეზი” (რეჟისორები უშანგი სინარულიძე და დალი ვაშაქიძე 2007) – მეცენატის როლში.

ზაზა სინარულიძე უყვართ და აფასებენ, როგორც ღვთისნიერ და კეთილშობილ პოლიტიკურ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, სოლო გეგმა არც კი იცის, რომ სიყმაწვილისა და სიტყაუკის წლებში ლექსებს წერდა და 1976 წლიდან აქვეყნებდა კიდეც რესპუბლიკის ჟურნალ გაზეთებში და სხვადასხვა კრებულებში.

მან თავის შემოქმედებითი ნიჭი მხატვრული თარგმნის სფეროშიც გამოაჩვენა. უშუალოდ დადანიდან გადმოაქართულა და გამოაქვეყნა რუსული, გერმანული და არაბული პოეზიის ნიმუშები.

მკითხველს ვთავაზობთ ზაზა სინარულიძის შემოქმედებას.

ხარ ვენახი დალოცვილი

აი ია

სამშობლო, ოცნებაშიც
შენისთანა
მზე ვერ ვნახე,
ხარ ვენახი დალოცვილი
და მე ვინმე
მევენახე.

თუმც ზვარს ზოგჯერ ემუქრება
ყინვა, ჩრდილო
ქარიც არხევს,
მე იმედის ფოლიანტებს
ვფურცლავ, როგორც
სულის არქივს.

თითოეულს ძირს ვაზისას
გაფრთხილება
უნდა, როგორც
ბიჭს — დავითის მაგიერს და
თამარ მეფის
სადარ გოგოს.

სიყვარულო, ოცნებაშიც
შენისთანა
მზე ვერ ვნახე,
ხარ ვენახი დალოცვილი
და მე ვინმე
მევენახე.

მე რა ვიცოდი,
როდესაც ხელის კანკალით
გამომყავდა ბავშვს
პირველი ასოები
დედა ენისა,
თურმე შენს სახელს ვწერდი,
მე რა ვიცოდი,
როცა გაზაფხულის
პირველ ყვავილს
ვეალერსებოდი:
“ია” — მეტეი —
თურმე შენს სახელს ვამბობდი.
“აი ია”,
“აი დედა” —
იტყვის შენი პატარა,
შენი სახელით
დაიწყებს
ქართულის სწავლას.

ია
სიყვარულის
ყვავილი
ყოფილა. . .

ოცდაათეული გაზაფხული
ნ.ბ-ს

როგორ მობრძანდა,
გაზაფხული,
ვერც კი გავიგე,
ყვავილოვანი
მწვანე კაბის
უცხო შრილით,—
სიყვარულზე ფიქრს
რომ როგორმე
შორს გავქცეოდი,
მე ერთდროულად
შევეჭიდე
ათასგვარ საქმეს.
სანერ მაგიდას
მიჯაჭვულმა
ველარც შეგნიშნე,
რადგან არც ღვთისგან,
არც კაცისგან
ველოდი მწირი
წყალობას, თუნდაც

მოჩვენებით,
იოტისოდენს. . .
და სწორე ამ დროს
ჩემს სენაკში
შემოაბიჯე
შენ ალვისტანამ,
შავთვალეზამ,
შავთმებგაშლილმა. . .
თუმც ბედისწერამ
ნამეხარი
ტანი მარგუნა
და სული, მკვეთრი
შუქრდილებით
მიმოხატული,
ყოველი ნაკლი
უნებური
შენ მაპატიე,
აი, როგორი,
გაზაფხული
ყოფილხარ თურმე. . .

თარგმანი არაბულიდან

ომარ იბნ აბუ რაბია

* * *

შემომეყარა ქურციკთა გუნდი
და გამიჩინა გულში ნალველი

გადაირბინეს მსწრაფლ ქუბაადან
მუსალასაკენ უდაბნო ველი,

ნინ გადავუდექ, სულს განვაშორე
სირცხვილი, როგორც სხეულს სამოსი,

თუმცა მოვხუცდი, კვლავ ძველებურად
მანვალეხს ქალის სურვილი მწველი.

* * *

ვინც იბადება ბედისწერას
ვერ ეურჩება,
სრა—სასახლისგან უბადრუკი
ნანგრევი რჩება,
სიკვდილო, გვლახვრავს ნება შენი
გარდაუვალი,
ცრუ და მართალი ერთნაირად
ბოლოს ისჯება.
თავს დაატყდება ჩემს უზრუნველ
და მშვიდ სიბერეს,
როგორც ჭალარა — სიჭაბუკის
თვალწარმტაც ფერებს.

* * *

ძვირფასო, ვისაც სიკვდილამდე
გული გენდობა,
ყოველი ქვეყნად ვანაცვალე
მხოლოდ შენს ნდომას.
ვინაც შესცოდა, მიუტევე
დანაშაული,
წყეულიმც იყოს, ვინც არ იცის
ცოდვის შენდობა!

აბუ ლ-ათაჰია

ძმაცაცმა მკითხა, რომ შემატყო
დარდი ფარული
— პირმშვენიერი უბასი გკლავს
კვლავ სიყვარული?
ოხვრით მივუგე:— ჩემს ძარღვებში
მიედინება
გაშმაგებული სისხლი, რომ სწვავს
უსაზღვრო ვნება. . .
განამებული მიჯნური ვარ
და მეოცნებე,
გასინჯე, უთბა, გული ჩემი,
თუ კი ინებებ, —
შეუხორცებელს ჰგავს ჭრილობას
შენს გამო. . . გნატრობ . . .
სულის სიმშვიდეს მომიპოვებს
სიკვდილი მარტო.
ექიმს იმედიც აღარა აქვს,
რომ გადავრჩები,
შენზე, ძვირფასო, სამარემდე
უნდა ვიდარდო. . .

რეაბილიტაციის ტექნიკური საშუალებები

ტრენაჟორი განკუთვნილია მენჯბარძაყის, მუხლის და ტერფ-კანჭის სახსრების ვარჯიშისათვის. შეიძლება დამონტაჟდეს სანოლზე.



სახელურები

სახელურები გამოიყენება ოპერაციისა და ტრამვის შემდგომი პერიოდში გადაადგილების დროს ტრამვული დაზიანების ასარიდებლად.

ტიფლომაგნიტოლა

ტიფლომაგნიტოლა განკუთვნილია მხედველობის ფუნქციის დაზიანების მქონე პირებისათვის და მისი დანიშნულებაა "მოლაპარაკე წიგნების" მოსმენა შიდა ხმამაღლამოლაპარაკის ან ყურზე მისაღები მოსასმენის დახმარებით. მაგნიტოლა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ჩვეულებრივი მაგნიტოლა კასეტების და სხვა სამაუნყებლო პროგრამების მოსმენისათვის.





სკამი აბაზანისათვის

სკამი გამოიყენება ტრამვის და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში აბაზანაში წყლის პროცედურების უფრო კომფორტულად მისაღებად.

საფეხურები აბაზანისათვის

საფეხურები გამოიყენება ტრამვის და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში აბაზანაში წყლის პროცედურების უფრო კომფორტულად მიღებისათვის.



დამოუკიდებლობა, ოპტიმიზმი, სიყვარული და მომავლის იმედი.



კოალიციას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის დღეიდან ახალი ლოგო აქვს, რომელზეც გამოსახულია ძლიერი, თავისუფალი, პოზიტიური და ოპტიმისტი ადამიანის პიკტოგრამა, რომლის ზეაღმართული ხელები სიმბოლურად დამოუკიდებლობას გამოხატავს, ხოლო სიმაღლისკენ მსწრაფი ბორბლები — ძალას, რომელსაც შეუძლია გადალახოს ნებისმიერი დაბრკოლება.

აღნიშნული ლოგო გადაწყვეტილია იასამნის ფერში, რაც თავის მხრივ აღორძინების, გაზაფხულის, ხარების, სიყვარულისა და მარადიულობის სიმბოლოა და წარმოადგენს შესაძლებლობათა შეზღუდვის სოლიდარობის საერთაშორისო ფერს.

დღეს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხი, ჩვენს ქვეყანაში ახალ ეტაპზე დგება — საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს გაეროს 2006 წლის კონვენციას, პარლამენტში მტკიცდება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოლიდარული ინტეგრაციის კონცეფცია“, ხოლო პრემიერ მინისტრის დონეზე იქმნება საკოორდინაციო საბჭო, მიგვაჩნია რომ ვდგებით ახალი გამოწვევის წინაშე და ახალი ენერგიით უზრუნველვყოფთ იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის საკითხები საქართველოში შეუქცევად პროცესად იქცეს.

სმენის აპარატები

სმენის აპარატი არის ელექტრონული დამხმარე მოწყობილობა, რომელსაც ჩვეულებრივ ატარებენ როგორც ყურის გარეთ, ასევე ყურის არხში. სმენის აპარატი შედგება მიკროფონის, ტელეფონის (ე.ი.დინამიკის) და გამაძლიერებელი მიკროჩიპისაგან, რომელიც იკვებება უმცირესი ელემენტით. ციფრული და თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიის უკანასკნელი მიღწევების წყალობით დღევანდელი სმენის აპარატები ისეთი პატარები არიან, რომ ყურის არხში თითქმის არ ჩანან. მიუხედავად მათი ზომის სიმცირისა, შენარჩუნებულია ხმის მაღალი წარმოების ხარისხი. სმენის აპარატს არ შეუძლია სმენის აღდგენა, მაგრამ სამაგიეროდ, გადალახავს რა ძირითად წინააღმდეგობას, რომელიც დაკავშირებულია სმენის დარღვევასთან, მას მოაქვს მნიშვნელოვანი სარგებელი იმ პირისათვის, რომელსაც დაზიანებული აქვს სმენის ფუნქცია. სმენის აპარატი მოსარგებლის მთავარი პრობლემა არის შემშლელი ფონური ხმა. თანამედროვე სმენის აპარატების მიკროჩიპები ეფექტურად ამცირებენ ფონურ ხმას და გამოყოფენ სიტყვას, რომელსაც ავტომატურად და სინქრონულად არეგულირებს სმენის აპარატი. გთავაზობთ თანამედროვე სმენის აპარატების რამოდენიმე მოდელის ტექნიკურ მონაცემებს.



სმენის აპარატი სმენაღობის კომპენსაციისათვის გააჩნია :



- სიგნალის ციფრული დამუშავების საშუალება;
- გამომავალი სიგნალის ავტომატური მარეგულირებელი;
- ხმის გამაძლიერებელი;
- გარედან შემომავალი ხმის ჩაქრობის სისტემა;
- ხმის ტემბრის მაღალი და დაბალი სიხშირის მარეგულირებელი საშუალებები; მაღალმგრძობიარე ინდუქციური კოჭი, რომელიც უზრუნველყოფს ხმის სიმაღლეს და სისუფთავეს ტელეფონზე ლაპარაკის დროს;
- ხმის სიმაღლის ოპერატიული მარეგულირებელი;
- მოსმენის სამი პროგრამა;
- შერჩეული პროგრამის ინდიკატორი;
- ბატარეის დამტენი ინდიკატორი;
- მინიატურული ფორმა და მიმზიდველობა.

სერია Bravo

- Widex Bravo B-1VC
- Widex Bravo B-2VC
- Widex Bravo B-11VC
- Widex Bravo B-12VC
- Widex Bravo B-32VC



სერია Bravissimo

- Widex Bravissimo BV-8
- Widex Bravissimo BV-8e
- Widex Bravissimo BV-9
- Widex Bravissimo BV-18
- Widex Bravissimo BV-19
- Widex Bravissimo BV-38



სერია Flash
new

- Widex Flash FL-9 new
- Widex Flash FL-19 new
- Widex Flash FL-9e



სერია Inteo

- Widex Inteo IN-9
- Widex Inteo IN-19
- Widex Inteo IN-9e



სერია Senso Diva

- Widex Senso Diva SD-9 MTVC
- Widex Senso Diva SD-19 MTVC



სერია Bravo

- Widex Bravo B1X
- Widex Bravo B2X
- Widex Bravo BXP

სერია Bravissimo

- Widex Bravissimo BV-X
- Widex Bravissimo BV-9X
- Widex Bravissimo BV-XP




სერია Flash


- Widex Bravo B2 CIC
- Widex Bravissimo BV-CIC new
- Widex Flash FL-CIC
- Widex Senso Vita SV-CIC
- Widex Senso Diva SD-CIC new
- Widex Aikia AK-CIC
- Widex Inteo IN-CIC



აკუმულატორი



მაზიქსირებადი რგოლები



ხელოვნება - ინტეგრაციის საშუალება

ნოდარ მამაცაშვილი

ხალხთა მეგობრობა- ამ ცნებას დღეს არქაული ელფერი დაჰკრავს. ცოტა ირონიულიც. ის, რაც ასე გაპიარებული იყო საბჭოეთში, უბრალოდ აბსურდი აღმოჩნდა. მეგობრობა იმდენად ინტიმური გრძობაა, კოლექტივიზმს ვერ ჰგუობს.

ამგვარ ყალბ სტერეოტიპებს თანამედროვე ლიბერალური ფასეულობანი უპირისპირდება. თანამშრომლობა და ურთიერთ-გამდობა. სწორედ ამას გულისხმობდნენ უსინათლოთა კავშირში, როცა პროექტზე დაიწყეს ფიქრი. ყველაფერი კი ინსტიტუტ „ლია საზოგადოებასთან“ თანამშრომლობით დაიწყო.

ხელოვნება ხომ ის საშუალებაა, სადაც უსინათლო ადამიანი ყველაზე უკეთ ახერხებს თვითდამკვიდრებას. საქართველოში ამისი ტრადიცია უკვე არსებობდა. 1975 წ. შეიქმნა პირველი უსინათლოთა მუსიკალური გაერთიანება, რომელიც ორმოცამდე უსინათლო მუსიკოსს აერთიანებდა. იგი წარმატებით გამოდიოდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. პოლიტიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა ეს ანსამბლიც დააზარალა, თუმცა არა საბოლოოდ. მის ბაზაზე ფოლკლორული ანსამბლი ჩამოყალიბდა, რომელიც პრობლემების მიუხედავად აგრძელებს მოღვაწეობას. აღმოჩნდა, რომ საქართველოს უსინათლოთა კავშირის მსგავსად სომხეთის უსინათლოთა საზოგადოებაშიც არსებობს ტრადიციების მქონე ფოლკლორული ანსამბლი. სოციალური პროექტების სამსახურის ხელმძღვანელი თამაზ მუქერია მყისვე უკავშირდება ერევანს და პასუხიც არ აყოვნებს. სომხეთის ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი სიმონ ოგანესიანი მზად არის მონაწილეობა მიიღოს მუსიკოსთა თანამშრომლობაში, რათა უსინათლო მუსიკოსებმა ერთად იბრძოლონ საკუთარი ხელოვნებით თვითდამკვიდრებისათვის, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს გულისხმობს.

მადონა ქანთარია, ქალთა ანსამბლის ხელმძღვანელი: "მუსიკა ტრადიციულად ითვლებოდა უსინათლოთა პრიორიტეტად. მე-19-ე საუკუნეში



აშუღთა დიდი ნაწილი უსინათლო იყო. სომხებს ჰყავდათ ოპერის უსინათლო მომღერალი ცნობილი ა. აიღინიანი. დღეს თბილისის ოპერის სცენაზე წარმატებით გამოდის სულხან გველესიანი, რომელიც თავის დროზე წლის საუკეთესო მომღერლად იქნა არჩეული. გვყავს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნატო ვეფხვაძე. ასე, რომ ტრადიცია არსებობს. ჩვენ მის გაგრძელებას ვცდილობთ."

გადაწყდა, ქართველი მუსიკოსები სწავლობენ სომხურ სიმღერებს, ხოლო სომხები- ქართულს და კონცერტებით წარსდგებიან ფართო მაყურებლის წინაშე.

პროექტში კონსულტანტად ცნობილი ლოტბარი რამინ მიქაბერიძე მიიწვიეს. გეგმა შედგა. შეთანხმდა დონორთან. (კოორდინატორი- ნინო კიკნაველიძე). მზადდება მომავალი სამუშაოს მონახაზი. ქართველ მუსიკოსთა დელეგაცია ერევანში კოლეგებთან გასამგზავრებლად ემზადება.

პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი იური მიქაბერიძე: "მთავარი სირთულე ის იყო, რომ მიუხედავად ჩვენი კულტურების სიახლოვისა, მუსიკალური ფოლკლორი დიდად განსხვავდება. მათთვის რთული იქნებოდა ჩვენი მრავალხმიანობის ათვისება. ჩვენი ხუთკაციანი დელეგაცია ერევანს ესტუმრა და სამ დღეში ორი სიმღერა უკვე მზად გვქონდა. მონღომება და საერთო მიზანი ყველაფერს სძლევს."

ახლა სომეხ მუსიკოსთა ჯერი დადგა. და აი, ისინიც ესტუმრნენ. ორ დღეში მომზადდა ორი სომხური სიმღერა და ორიც საერთო: რ. ლალიძის ცნობილი „თბილისო“ და კომიტასის „ერებუნ-ერევან“. ახლა ფესტივალი და გასტროლები იყო მოსამზადებელი.

უსინათლოთა კავშირის დასასვენებელი სახლი ციხიძირში (რომელსაც სიმბოლურად 'მეგობრობა' ჰქვია), შესაფერის ბაზად ჩაითვალა საამისოდ. 15 სექტემბერს სამმა ავტობუსმა აჭარი-საკენ აიღო გეზი. ქართველ უსინათლოთა ოცკაციანი გუნდი და სომეხთა ასევე ოცკაციანი ინსტრუმენტული ანსამბლები შემოქმედებითი ურთიერთ გამდობრებისა და თანამშრომლობის შედეგს



იმკიან. მაგრამ ჯერ მაყურებელთან შეხვედრისა და გამოცდის განცდა წინაა.

პირველი შეხვედრა ზესტაფონში შედგა. ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის თეატრში. რეპეტიციისთვის მცირე დრო იყო. როგორ აითვისებენ უსინათლო მუსიკოსები უცხო სცენას? მაყურებელთა ოვაციებმა ეს ეჭვი გააქარწყლა. ისევ რეპეტიციები, ოთხი კონცერტი სანატორიუმის ეგზოტიკურ გარემოში; შემდეგ ქუთაისი. მუსიკალური ცენტრი „სულიკო“. დარბაზი ტაშით ხვდება სომეხ მუსიკოსთა მიერ შესრულებულ ქართულ სიმღერებს.



კონცერტი იმართება. ჯილდოვდებიან ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულნი: საუკეთესო ფოლკლორული პიესისათვის - სომეხთა ხალხური ანსამბლი, საუკეთესო ვოკალისტი-თემურ არჩვაძე, საუკეთესო ინსტრუმენტალისტი - არკადი პოლოსიანი, მაყურებელთა სიმპათია ნატო ვეფხვაძე. შემოქმედებითი ექსტაზი აპოთეოზს აღწევს.

მარტინ სარქისიანი, სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელი-

“ჩვენ საერთო ისტორია და ყოფა გვაერთიანებს. საერთოა ჩვენი პრობლემებიც. მიუხედავად ამისა, არ ველოდი, თუ ამდენი საერთო გვექნებოდა. კულტურათა დიალოგი შედგა. ხელოვნება საზღვრებს არ სცნობს”.

ექვსთვიანი დაუღალავი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. სულ მალე ამ საქმიანობის ამსახველი ფილმის პრეზენტაციაც შედგება.

და ბოლოს, თუ ვინმეს ნარკვევის პათოსი ზემეტყველდა პათეტიკურად მოეჩვენება, მოუსმინეთ მზის ნათელის ხილვის ვერმხილველ ადამიანთა გულიდან გამომდინარე ჰანგებს და ეს ეჭვიც გაგიქრებათ. თქვენ ხომ ძალზე ზერელედ იცნობთ მათ. დააბრუნეთ ისინი თქვენს წიაღში, ანუ, როგორც დღეს იტყვიან, მოახდინეთ მათი ინტეგრაცია. ისინი შებრალებას კი არა, მათი ღირსების აღიარებას საჭიროებენ!...

ზურაბ გურჩიანი, ანსამბლის სოლისტი: - “არ მეგონა, ამდენი საერთო გადამკვეთი წერტილი თუ გვექნებოდა. ბევრი ქალაქური სიმღერა ჩვენი რომ მეგონა, სომხური ვერსიით მოვისმინე, ამგვარი შეხვედრები საერთო მდგომარეობის ადამიანებს კიდევ უფრო აახლოვებს”.

ბათუმი. 21 სექტემბერი. მასწავლებელთა სახლი. გაერთიანებული გუნდი ერთად ასრულებს ჯერ “თბილისოს” და შემდეგ „ერევანს“. მაყურებელი ყვავილებით აჯილდოვებს მსახიობებს. სტერეოტიპები დამსხვრეულია. ოვაციები აქარწყლებენ ეჭვებს. სარისკო პროექტი შედგა.

დასკვნითი აკორდი. „ციხისძირის“ სანატორიუმის იმპროვიზირებულ სცენაზე ღია ცის ქვეშ გალა

პაჩოლიმპიუხი სპორტის სახეობები



ფრენბურთი

პაროლიმპიური პროგრამით შეჯიბრი ფრენბურთში ტარდება ორ კატეგორიაში – მჯდომარე პოზიციაში მოთამაშეთა და ფეხზე მდგომ მოთამაშეთა კატეგორიებში. ამრიგად, პაროლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა შეუძლია ფუნქციური დარღვევების (შეზღუდვების) მქონე ყველა სპორტსმენს. ტრადიციული ფრენბურთისაგან განსხვავდება მოედნის ფართის სიმცირით და ბადის დაბალი მდგომარეობით.

ტყვიის სროლა

ტყვიის სროლაში შეჯიბრი იყოფა ორ კლასად - შაშხანისა და პისტოლეტის კლასად. შეჯიბრების წესები შემუშავებულია ინვალიდებისათვის ტყვიის სროლის საერთაშორისო კომიტეტის მიერ. შეჯიბრი ტარდება ინდივიდუალური და გუნდური ჩათვლების მიხედვით.

სტუმრად ლაბოდეხში

უტა ჩიქოვანი

საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდებარეობს კახეთის უმშვენიერესი მხარე, ლაგოდეხის რაიონი. სადაც, ერთმანეთის გვერდით მეგობრულად ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, ოსები, რუსები და სომხები. მისვლისთანავე იგრძნობა, რომ რაიონს ჰყავს მზრუნველი და გონიერი მართველები; ამის დასტურია მოვლილი, მონესრიგებული ქალაქი, რომელსაც ეკვრის 80 წლის წინათ დაარსებული სახელგანთქმული ლაგოდეხის ნაკრძალი.

მუნიციპალიტეტში ჩვენი სტუმრობის მიზეზს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მდგომარეობის გაცნობა წარმოადგენდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიუხედავად გასული წლის აგვისტოს მოვლენებისა და საყოველთაო კრიზისისა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა (საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი წვერავა, გამგებელი გიორგი გოზალიშვილი), ცდილობს ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით გამგეობამ მოახერხა დახმარება გაენია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. მიმდინარე წელს 100 კუბ.მეტრი შეშა მიუზიდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის 31 ოჯახს. ასევე მოხერხდა, ინვალიდთა ლიგის რაიონული ორგანიზაციის შვიდიათასი ლარით დაფინანსება. აღნიშნული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1995 წელს. მისი დამფუძნებელი გახლავთ ნოდარ გელაშვილი. თვით ბატონმა ნოდარმა გურჯაანის პოლიომიელიტის ნარჩენების და ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში და მიიღო ბუღალტერ-ეკონომისტის განათლება. ის ძალღონეს არ იშურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ცხოვრება გაუადვილოს. ინვალიდთა ლიგის რაიონულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზე იმყოფება 350 მოზარდი დაახალგაზრდა. აქედან 145 თვრამეტ წლამდე ასაკისაა. მათთვის, წლის სხვადასხვა დროს რეგულარულად იმართება შეკრებები და სხვადასხვა ღონისძიებები. აღნიშნული მუშაობა საგრძნობლად უწყობს ხელს იზოლაციიდან მათ გამოსვლას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. ბატონმა ნოდარმა შეძლო ხელშეკრულება გაეფორმებინათბილისის ცირკის ადმინისტრაციას-

სთან, რომლის საფუძველზეც ცირკის მსახიობები დავით პატარაიას ხელმძღვანელობით სისტემატურად სტუმრობენ ლაგოდეხის რაიონს და აწყობენ საქველმოქმედო სანახაობებს. მაყურებელმა ძალიან შეიყვარა კლოუნი “ჯიმი”, კაცი “ობობა” და ჯადოსნური ილუზიონისტი.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის უანგარო საქველმოქმედო საქმიანობა, რომელსაც რაიონში მოღვაწე ბიზნესმენები ეწევიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ეს გახლავთ შპს “გოლდი” (ხელმძღვანელი ჯუმბერ გოლეთიანი), შპს “ბეკო” (ხელმძღვანელი ზურაბ ჩიტოშვილი) და სხვანი. ასევე აღსანიშნავია ლაგოდეხის ხელოვნების სტუდიის მუშაკთა საქმიანობა (ხელმძღვანელი კობა გელაშვილი), სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ასწავლიან ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას და სიმღერას. რაიონში ჩატარებულმა აღნიშნულმა ღონისძიებებმა მეტად დადებითი შედეგი გამოიღო. ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომლებიც საკუთარი ოჯახის კედლებში იყვნენ გამოკეტილები, დღეს აქტიურ ქმედებებს ეწევიან; უკრავენ, მღერიან, ეუფლებიან ლექსის მხატვრულად თქმის ოსტატობას, მონაწილეობენ თეატრალურ-სანახაობით ღონისძიებებში და ა.შ. ამასთან, გაჩნდა მოთხოვნილება რაიონში გაიხსნას ინტეგრირებული საჯარო სკოლა, სადაც ერთად ისწავლის ყველა კატეგორიის ბავშვი,

არც დედაქალაქიდან ივინყებენ ლაგოდეხელებს. კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (ხელმძღვანელი გიორგი ძნელაძე) 18 ეტლი-სავარძელი გადასცა რაიონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. საერთოდ, რაიონში მიღებული აქვთ 120 ეტლი-სავარძელი. 100 ცალი ხელჯოხი და 30 ყავარჯენი.

რაიონში განეული ყველა ეს მუშაობა რა თქნა უნდა კარგია, მაგრამ არასაკმარისია. ჩვენ გვჯერა რაიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, შესანიშნავი ტანდემის, ორი ბატონი გიორგის და პირება იმის თაობაზე, რომ კიდევ უფრო მეტ მზრუნველობას გაუწევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და

ინვალიდთა ლიგის რაიონულ ორგანიზაციას, ამასთან ერთად გამონახვენ საშუალებას ამ უკანასკნელს, რაიონში ნორმალური მუშაობისათვის გამოუყონ საშუაო ფართი და რაც მთავარია, რაიონში გაიხსნას ინტეგრირებული საჯარო სკოლა.



შესაძლებლობა და არა უძლურება

თამარ გახტაძე, ნანი ყავლაშილი (მედ. მეცნ. კანდიდატი),
ქეთევან ნემსაძე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული
კლინიკის დირექტორი)

ჩვენს ქვეყანაში კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ყველა ადამიანის თანასწორ უფლებიანობა. საქართველო 1994 წელს შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ასამბლეის მიერ მიღებულ ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვას. **“გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოებას ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას”** (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 23.1)

მართალია, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, თუმცა მაინც პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა, მათი ჩართვა (ინტეგრაცია) “ჯანმრთელ” ადამიანთა საზოგადოებაში და ამ საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში სრული ჩართვა საფეხურებრივად ხდება:

- ადრეული ეტაპი (დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე)
- სწავლების პროცესი (სასკოლო და პროფესიული)
- შრომითი აქტივობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაცია მოიცავს:

- ბავშვის პიროვნებაზე საზოგადოების ზემოქმედებას;
- აღნისნულ პროცესში თვითონ ბავშვის აქტიურ მონაწილეობას;
- თვით საზოგადოებისა და ადამიანური ურთიერთობის სრულყოფას, რადგან ხშირად საზოგადოება საკუთარი წევრების მიმართ გარკვეული დაუნდობელი მოთხოვნების წაყენების გამო ხელმიუწვდომელი ხდება ასეთი ბავშვებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოე-

ბის მომზადება მათ მისაღებად, რაც გულისხმობს მისი “ჯანმრთელი” წევრების დადებითი დამოკიდებულების ფორმირებას, სოციალური გარემოს, მომზადებასა და მორგებას ამ კატეგორიის ბავშვებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სწორ აღზრდაში სპეციალისტებთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მშობლები და პედაგოგები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მომუშავე ადამიანებს (მშობლები, პედაგოგები და სხვა) უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა იმ დაავადებებზე, რაც საფუძვლად უდევს ბავშვის შეზღუდვას.

გთავაზობთ იმ დაავადებათა მოკლე ჩამონათვალს, რომლებიც უხშირესად წარმოადგენენ სხვადასხვა სახის შეზღუდვის მიზეზს.

ბავშვთა ცერებრული დამბლა

რა არის ბავშვთა ცერებრული დამბლა?


ბავშვთა ცერებრული დამბლა (ბცდ) ისეთი ქრონიკული მდგომარეობაა, რომლის დროსაც მოძრაობის სხვადასხვა სახის დარღვევებთან ერთად ხშირად სხვა პრობლემებიც ვლინდება. ამ დარღვევებს ინვევს განვითარებადი თავის ტვინის დაზიანება დაბადებამდე, დაბადებისას ან დაბადებიდან პირველი 2-3 წლის განმავლობაში. ცერებრული დამბლის დროს თავის ტვინი ერთხელ ზიანდება და დაზიანების შემდგომი გაღრმავება აღარ ხდება.

რა არის ბცდ-ის განვითარების მიზეზები?

არსებობს მუცლადყოფნის, მშობიარობის და დაბადების შემდგომი პერიოდის ისეთი ფაქტორები, რომლებიც შემდგომში ცერებრული დამბლის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მუცლადყოფნის პერიოდის რისკ-ფაქტორები (55%);

- დედის ასაკი (18 წლამდე ან 40 წლის ზემოთ)
- დედის დიაბეტი ან ჰიპოთირეოზი (ჩიყვი)
- დედის მაღალი არტერიული წნევა;
- დედის კვების მოშლა;
- დედის ინფექციები (წითურა და სხვა).



• საშვილოსნოს ან პლაცენტის პათოლოგია, რაც იწვევს ნაადრევ მშობიარობას ან სისხლდენას.

მშობიარობის პერიოდის რისკ-ფაქტორი (35%)

- ნაადრევი ან გვიანი მშობიარობა;
- ნაყოფის გულისცემის შენელება;
- ნაყოფის არანორმალური მდებარეობა;
- სამშობიარო ტრამვა.

დაბადების შემდგომი პერიოდის რისკ-ფაქტორები (10%)

- დღენაკლულობა;
- ტყუპის ცალი (მითუმეტეს, თუ მეორე ტყუპის ცალი დაიღუპა);
- ჰიპოქსია (ჟანგბადი ნაკლებობა);
- ნერვული სისტემის ინფექციები;
- მონამვლა (სამკურნალო საშუალებებით, ალკოჰოლით და სხვა);
- კრუნჩხვები;
- ტრამვა.

როგორია დაავადების სიხშირე?

სიხშირე დაახლოებით 2,5 – ია 10000 ახალშობილზე.

როგორ გამოვლინდება კლინიკურად?

ბცდ-ის ძირითად სიმპტომს წარმოადგენს მამოძრავებელი ფუნქციის დარღვევა, რასაც უმრავლეს შემთხვევაში თან ერთვის ფსიქიკის, მეტყველების, მხედველობის, სმენის სხვადასხვა ხარისხით გამოხატული დაზიანებანი. ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნება კრუნჩხვითი სინდრომი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სმენისა და მეტყველების აპარატის დარღვევის გარდა სხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობა არ ახასიათებს.

დაუნის სინდრომი

რას წარმოადგენს დაუნის სინდრომი?


დაუნის სინდრომი ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენილობის ფორმაა, რომელიც შერნ ყმულია ავადმყოფის დამახასიათებელ გარეგნობასთან და განვითარების სხვადასხვა მანკთან.

რა წარმოადგენს დაუნის დაავადების საფუძველს და რაზე დამოკიდებული მისი განვითარება?

დაავადების საფუძველს შეადგენს ქრომოსომული აპარატის ანომალია, რომელიც ვლინდება უპირატესად ერთი ზედმეტი ქრომოსომის სიჭარბით. გამომწვევი უცნობია. დაავადების განვითარება უბშირესად დაკავშირებულია დედის ასაკთან: 35 წლის ასაკიდან ავადმყოფი ბავშვის დაბადების ალბათობა მკვეთრად მატულობს.

როგორ გამოვლინდება კლინიკურად?

ბავშვები მცირე წონით იბადებიან, ცუდად წოვენ, აღენიშნებათ თავის ქალას არასწორი ფორმა, თვალების ირიბი ჭრილი, მაღალი სასა, პატარა ყურის ნიჭარები და მათი დაბალი მდებარეობა, მოკლე



თითები, მოლუნული და დამატებითი ნეკი. ხშირად ხელის გულზე გამოხატულია კანის განივი ნაოჭები. მოზრდილ ასაკში ასეთი ბავშვები დაბლები არიან, კიდურები მოკლე აქვთ, მხრები დაშვებული, თავი დახრილია წინ.

დაუნის დაავადების ტიპიურ ნიშანს წარმოადგენს ინტელექტის სხვადასხვა ხარისხით დაქვეითება (დებილობა, იმბეცილობა, იდიოტია). დაავადებული ბავშვები ურთიერთობაში ძალიან თბილები არიან, ამასთანავე აღენიშნებათ არამყარი ხასიათი, ასეთ ავადმყოფებში კარგადაა განვითარებული ნაბაძვის ნიჭი.

მიკროცეფალია

რა არის მიკროცეფალია?

მიკროცეფალია – ეს არის განვითარების მანკი, რომელიც ვლინდება თავის ქალას ზომებში ჩამორჩენით და შესაბამისად ტვინის განვითარების შეფერხებით.

რა არის მიკროცეფალიის განვითარების მიზეზი?

პირველადი – გენეტიკური ფაქტორი; მეორადი – დედის ინფექციები ორსულობის პერიოდში (გრიპი, ნითურა, ციტომეგალოვირუსი, და სხვა) სამშობიარო ტრამვა, ნაყოფისა და ახალშობილის ჰიპოქსია.

როგორ გამოვლინდება კლინიკურად?

თავის გარშემონერილობა მკვეთრად ჩამორჩება საშუალო ნორმას, ყურადღებას იპყრობს ვიწრო შუბლი, დიდი ყურები, სქელი ცხვირი, განუვითარებელი ნიკაპი. აღენიშნება სხვადასხვა ხარისხის ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენა. შესაძლოა, გამოვლინდეს სიელმე, კრუნჩხვები და სხვა ნერვოლოგიური დარღვევები.

ჰიდროცეფალია

რა არის ჰიდროცეფალია?

ჰიდროცეფალია არის თავ-ზურგ-ტვინის სითხის სიჭარბე თავის ქალაში.

რა სახის არსებობს?

არსებობს, როგორც თანდაყოლილი ისე შექმნილი.

რა არის გამომწვევი?

თანდაყოლილი ჰიდროცეფალიის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს დედის ინფექციები ორსულობის პერიოდში (ნითურა, გრიპი, ციტომეგალოვირუსი, სიფილისი და სხვა). შექმნილის – თავის ტვინის ინფექციური დაავადებები, ტრავმა, სიმსივნე და სხვა.

როგორ გამოვლინდება კლინიკურად?

თანდაყოლილი ვლინდება დაბადებისთანავე. დამახასიათებელია თავის გარშემონერილობის დიდი ზომე-

ბი, მაღალი შუბლი, პატარა, სამკუთხედის ფორმის სახე, თვალები წინ არის წამოწეული. აღინიშნება ემოციური ლაბილობა, სხვადასხვა სახის ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენილობა.

შეძენილი ჰიდროცეფალია ვითარდება დაბადების შემდგომ პერიოდში და თანდაყოლი ლისაგან თავის ქალას ზომების ნაკლები სიდიდითა და ნაკლები ფსიქიური ცვლილებებით განსხვავდება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადების მქონე შეზღუდული შესაზღვებლობის მქონე ბავშვის

მკურნალობა მიმართული უნდა იყოს სამედიცინო, ფსიქოლოგიური – პედაგოგიური რეაბილიტაციის პროგრამების შერწყმისაკენ იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს განვითარებად ორგანიზმთან და რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება ზემოქმედება, სხეულის რაც უფრო მეტი სისტემა ჩაერთვება რეაბილიტაციის პროცესში, მით უფრო წარმატებული აღმოჩნდება შედეგიც.

ბაბრძალა შაშაშ ნოზიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები დასაქმდნენ

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრძელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების პროგრამა. სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და თავად იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ დეპარტამენტებში, სადაც დანერგულია ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა და, შესაბამისად, შესაძლებელია დისტანციური საქმისწარმოება, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები დასაქმდნენ. იუსტიციის სამინისტრო რეალურ შესაძლებლობას აძლევს და ეხმარება განვითარებასა და სამსახურებრივ წინსვლაში, ისეთ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ამას. პროექტის ამ ეტაპზე, არა მხოლოდ ქ. თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონსა თუ ქალაქში შეირჩა, სწავლება გაიარა და დასაქმდა ინვალიდობის მქონე 9 ადამიანი. მათ დაიკავეს სხვადასხვა ვაკანტური ადგილები: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ეროვნულ არქივში, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში, იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის სამმართველოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში. კანდიდატთა შერჩევას გათვალისწინებულ იქნა სავალდებულო კრიტერიუმები: სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების საბაზისო ცოდნა და უმაღლესი განათლება. ამ პერიოდისათვის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებო ბაზე ინვალიდობის მქონე 26 ადამიანია დასაქმებული. აღნიშნული პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს ინვალიდობის მქონე პირთათვის რეალიზებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციასა და სრულფასოვნად ჩართვას.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდს ახალი წევრი ჰყავს

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

დასაქმების პროექტის“ ფარგლებში კიდევ ერთი ადამიანი იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში დასაქმდა. ირაკლი დათოშვილი სამინისტროს პიარ-გუნდის სრულფასოვანი წევრი დღეიდან გახდა. იგი ძირითადად მთარგმნელობითი საქმიანობით დაკავდება. ახალ თანამშრომელს დანიშვნის ბრძანება დღეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ჯაბა ებანოიძემ პირადად გადასცა. ირაკლი დათოშვილის თქმით, იგი აქტიურად ჩაერთვება სამინისტროს საქმიანობაში, რაც მისთვის თვითრეალიზაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის კარგი შანსია. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დღეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 9 ადამიანი დასაქმდა.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი დასაქმდა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების პროექტში“ ჩაერთო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დასაქმებული სალომე გარუჩავა მოქალაქეებს დღეიდან მოემსახურება. იუსტიციის მინისტროს მოადგილემ ჯაბა ებანოიძემ და ნოტარიუსთა პალატის თამაზ დომარემ ნინო ხოფერიამ დღეს ახალი თანამშრომელი მონახულეს. 18 წლის სალომეს გადაადგილების უნარი შეზღუდული აქვს, მაგრამ ნოტარიუსთა პალატაში დანერგული თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, მოქალაქეთა მომსახურება არ გაუჭირდება. იგი დაინტერესებულ პირებს კვალიფიციურ სატელეფონო მომსახურებას საკუთარი სახლიდან გაუწევს და მათ სანოტარო მოქმედებების ელექტრონულ რეესტრში არსებულ ინფორმაციას მიაწვდის. შესაბამისად, მოქალაქეები სანოტარო აქტების შესახებ მათთვის საჭირო ნებისმიერ ცნობას სახლიდან გაუსვლელად მიიღებენ. როგორც ნინო ხოფერიამ აღნიშნა, ნოტარიუსთა პალატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებას მომავალშიც გეგმავს.

კუროგულ იტო

მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში თითქოსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინტეგრაციის საკითხები წინ მიიწევენ და ხდება საზოგადოების ინფორმირება. როცა საქართველოს პარლამენტში ერთი მოსმენით ამტკიცებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციას და საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს გაეროს 2007 წლის კონვენციას; როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დონეზე იქმნება საკოორდინაციო საბჭო და პარლამენტში შედის ინვალიდობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამსლიანი



სამოქმედო გეგმა, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონე მაინც სავალალო რჩება, რაზეც აღნიშნული სურათიც მეტყველებს.

როგორც სურათზე ხედავთ (მისამართს განგებ არ ვასახელებთ), კიბის გვერდით დაშენებულია ბილიკი (პანდუსი) და კედელზე დაკიდებული ლოგოც გვაუწყებს, რომ ამ შენობაში ეტლით მოსარგებლე ადამიანებსაც შეუძლიათ შესვლა, მაგრამ მოაჯირი, რომელიც გზას უღობავს ასასვლელს, აშკარად

საწინააღმდეგოში გვარწმუნებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, აქ ეტლით მოსარგებლეს შესვლა შეუძლია მაგრამ არ შეუძლია. პარადოქსია პირდაპირი.

სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, სანამ შევძლებთ

ელემენტარულს გააზრებას და მივხვდებით, რომ მსგავსი ფაქტები მიმართულია პირდაპირი დისკრიმინაციისკენ და მის ავტორებს სასაცილო მდგომარეობაში აყენებს. არადა სხვა სახელმწიფოებში, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს დამოუკიდებლობა და ვისაც ჩვენ ვედრებით, ეს პრობლემები ძალიან მარტივად არის გადაწყვეტილი და იქ ინვალიდობის მქონე

ადამიანებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ და თანაც ისე, რომ უზრალო გამვლელების დაშტერებულ მზერას და უაზრო, ცნობისმოყვარეობით გაჟღენთილ კითხვებს (თუ "რა სჭირთ" და რას ამბობენ ექიმები?) არ აწყდებოდნენ. კარგი იქნებოდა, რომ ეს სურათი მართლაც მხოლოდ კუროგული ფოტო ყოფილიყო და ის ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებას არ ასახავდეს შესაძლებლობათა შეზღუდვის (ინვალიდობის) მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

კითხვა-პასუხი

სასამართლოს სამდივნო

მოცემული კითხვა-პასუხი სასამართლოს სამდივნოს მიერ არის მომზადებული. მისი მიზანია, ზოგადი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს სასამართლოს მუშაობის შესახებ. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის, მკითხველს შეუძლია, სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე გაეცნოს სამდივნოს მიერ მომზადებულ სხვა საბუთებს (www.echr.coe.int), პირველ რიგში კი - სასამართლოს რეგლამენტს.

რას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საერთაშორისო სასამართლოა, რომელსაც სტრასბურგში უდევს ბინა. ის იმდენი მოსამართლისგან შედგება, რამდენიც არის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. სასამართლოში ამჟამად 47 მოსამართლეა¹. მოსამართლეები

საქმიანობას თავიანთი ინდივიდუალური უფლებამოსილებით ახორციელებენ და არ არიან არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები. საჩივრების განხილვაში, სასამართლოს თანაშემწეობას უწევს სამდივნო, რომელიც, ძირითადად, ყველა წევრი სახელმწიფოდან შერჩეული იურისტებისაგან შედგება («იურისტი რეფერენტები»). იურისტი რეფერენტები სრულიად დამოუკიდებელი არიან თავიანთი წარმოშობის ქვეყნებისაგან, ისინი არც მომჩინებლ წარმოადგენენ და არც - სახელმწიფოებს.

1. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს არ აქვს კონვენციის ყველა ოქმი რატიფიცირებული. ამ ოქმებით კონვენციას ახალი უფლებები დაემატა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ.

რა არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ხელმოსაწერად მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის არის ღია. კონვენცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროპული სასამართლო და განისაზღვრა მისი მუშაობის წესები, ადგენს იმ უფლებებისა და თავისუფლებების ნუსხას, რომელთა დაცვის ვალდებულებაც იკისრეს ხელშემკვერელმა მხარეებმა.

რას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვას აკონტროლებს. მისი ამოცანაა, დაადგინოს, იცავენ თუ არა სახელმწიფოები კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამისათვის, მას საჩივრით მიმართავენ კერძო პირები ან, ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ რომელიმე ხელშემკვერელმა სახელმწიფომ დაარღვია კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან მეტი უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი აქვს: მოცემული ქვეყანა ვალდებულია, აღასრულოს ის.

რა შემთხვევაში შემიძლია მივმართო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

სასამართლოში საჩივრის შეტანა შეგიძლიათ, თუ მიგაჩნიათ, რომ უშუალოდ თქვენი, კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება დაირღვა და თუ ეს დარღვევა ჩაიდინა იმ სახელმწიფომ, რომელმაც კონვენციით დადგენილი ვალდებულებები იკისრა.

რომელი უფლებებია დაცული კონვენციით და მისი ოქმებით?

ამ უფლებებში, სხვებს შორის, შედის:

- სიცოცხლის უფლება;
- სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეებისასამართლიანი განხილვის უფლება;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება;
- აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება;
- საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება;
- არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება.

რას კრძალავს კონვენცია და მისი ოქმები?

სხვებს შორის, იკრძალება:

- ადამიანის წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა;
- თვითნებური და უკანონო პატიმრობა;
- დისკრიმინაცია კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას;

- საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევება ან მათი ამ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლება;

- სიკვდილით დასჯა;

- უცხოელების კოლექტიური გაძევება.

რა პირობებს უნდა ვაკმაყოფილებდე სასამართლოში საჩივრის შესატანად? პირადად მე რა პირობები მეხება?

- არ არის აუცილებელი, ევროპის საბჭოს რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყოთ. საკმარისია, ის დარღვევა, რომლის შესახებაც ჩივით, ჩადენილი იყოს ერთ-ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს მიერ თავისი იურისდიქციის ფარგლებში, რაც, ჩვეულებრივ, ამ სახელმწიფოს ტერიტორიას შეესაბამება.

- თქვენ შეიძლება იყოთ ფიზიკური ან იურიდიული პირი (კომპანია, ასოციაცია და ა.შ.).

- თქვენ პირადად და უშუალოდ უნდა იყოთ დაზარალებული იმ დარღვევის შედეგად, რომლის შესახებაც ჩივით. მაგალითად, თქვენ ვერ შეიტანთ ზოგადი ხასიათის საჩივარს ამა თუ იმ კანონის თუ აქტის შესახებ იმის გამო, რომ ის უსამართლო გეჩვენებათ; ვერც სხვა ადამიანების სახელით იჩივლებთ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირების ვინაობა ნათლად არის მითითებული და თქვენ მათი ოფიციალური წარმომადგენელი ხართ).

უნდა შევასრულო თუ არა რაიმე პირობა საჩივრის შეტანამდე, ეროვნული სასამართლოების წინაშე?

- დიახ. შესაბამის სახელმწიფოში, თქვენ ამონურული უნდა გქონდეთ სამართლებრივი დაცვის ყველა ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თქვენ მიერ საჩივარში მითითებული მდგომარეობის გამოსწორება.(ყველაზე ხშირად, ეს ნიშნავს უფლებამოსილი სასამართლოსთვის მიმართვას და, შესაბამის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილების სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებში (მაგალითად, უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლო) გასაჩივრებას.

- თუმცა, ამ საშუალებების მხოლოდ გამოყენება არ არის საკმარისი. შიდა სასამართლოებში ჩივილისას, თქვენ ნათლად უნდა დააყენოთ ის სასარჩელო მოთხოვნები კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელთა შეტანაც გასურთ ევროპულ სასამართლოში.

- საჩივრის შესატანად თქვენ გაქვთ მხოლოდ ექვსი თვე შიდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან (ჩვეულებრივ, უზენაესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება). ამ ვადის გაშვების შემთხვევაში, სასამართლო ვერ მიიღებს თქვენს საჩივარს.

ვის წინააღმდეგ შემიძლია საჩივრის შეტანა?

- ერთი ან მეტი ხელშემკვერელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც, თქვენი აზრით, დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ისეთი ქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც უშუალოდ თქვენ შეგეხოთ.

- აქტი ან აქტები, რომლებიც მომდინარეობს ამ სახელმწიფოს(სახელმწიფოების) რომელიმე ორგანოსგან (მაგალითად, სასამართლო ან ადმინისტრაციული უწყება).

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იხილავს კერძო პირების ან კერძო დაწესებულებების(მაგალითად, კომერციული კომპანიები) წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებს.

რას შეიძლება ეხებოდეს ჩემი საჩივარი?

- თქვენი საჩივარი აუცილებლად უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უფლებას. აქედან გამომდინარე, საჩივრის საგანი შეიძლება იყოს მრავალგვარი. ამის მხოლოდ რამდენიმე მაგალითია: თავისუფლება აღკვეთილი ადამიანის წამება და მის მიმართ ცუდი მოპყრობა; პატიმრობის შეფარდების

კანონიერება; სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესის ნაკლოვანებები; დისკრიმინაცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას; მშობელთა უფლებები; პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმონერის დაცულობა; აზრის გამოხატვის ან ინფორმაციის გადაცემის თუ მიღების თავისუფლების შეზღუდვა; შეკრების თუ მანიფესტაციის თავისუფლება; გაძევება და ექსტრადიცია; საკუთრების კონფისკაცია და ექსპროპრიაცია.

- თქვენ ვერ იჩივლებთ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შესახებ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ძირითადი უფლებების ქარტია, და სხვ.).

ბაბრელება შიშაშ ნოემერი

წმიდა დიდმონამე და ძლევამოსილი გიორგი (+303) 10(23) ნოემბერი



დიდმონამე გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი რომში გადასახლდა საცხოვრებლად. ჭაბუკი გიორგი რომის ლამქარში განმწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე მიიპყრო იმპერატორ დიოკლიტიანეს ყურადღება. მან წმიდა გიორგის მხედართმთავრის მაღალი წოდება უბოძა და თავის პირად მცველთა რაზმის უფროსად დანიშნა.

კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავის გამგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. სენატის საბჭოზე, ნიკომიდიაში, მან სრული თავისუფლება მიანიჭა პროვინციის მმართველებს ქრისტეს მიმდევართა დასასჯელად.

წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაანთავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთა დაურიგა, სენატში გამოცხადდა, სასწრაფოდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფთ მოუწოდა, მიეღოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება. იმპერატორი დიოკლიტიანე შეეცადა დაერწმუნებინა იგი, განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეენირა კერპებისათვის. წმიდა აღმსარებელმა მტკიცედ მიუგო: “ვერა ვითარი ამსოფლიური დედება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს”.

განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმონამე მბრუნავ ბორბალზე გააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭეჭა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ კი მალლიდან მოისმა ხმა: “ნუ გეშინიან გიორგი, მე შენთან ვარ”. ბორბალთან უჩვეულოდ ნათლით-მოსილი ჭაბუკი გამოცხადდა, მან ხელი შეახო მონამეს, უთხრა: “გიხაროდენ” და გაუჩინარდა. წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან.

ამის შემდეგ იმპერატორმა სხვადასხვა სახის მძიმე საწამებლები დაუწესა წმიდა გიორგის, მაგრამ ღმერთის შეწევნით იოლად დასძლია ისინი. განრისხებულმა დიოკლიტიანემ წმიდანის სიკვდილით დასჯა ბრძანა.

იმ ღამეს წმიდა გიორგის თავად მაცხოვარი ეჩვენა. უფალმა გვირგვინით შეუმკო თავი გიორგის და უთხრა: “ნუ გეშინიან, მხნედ იყავ, გაძლიერდი. მალე მიხილავ და მიიღებ შენთვის კუთვნილ ადგილს”.

303 წლის 23 აპრილს, ოცდაათი წლის წმიდა გიორგის თავი მოკვეთეს და ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევამოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.


ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას დღესასწაულობს ორჯერ: 23 აპრილს (10 მაისს) წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს — მის ბორბალზე წამებების დღეს.



პაროლიმპიური ამბები

მასპინძლობს ათენი

ზაფხულის XIII საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშები ჩატარდება ათენში 2011 წლის 25 ივნისიდან 4 ივლისამდე სპორტის 22 სახეობაში: (ცურვა, მძლეოსნოვა, ბადმინტონი, კალათბურთი, ბოჩე, ბოულინგი, ველოსპორტი, ცხენოსნობა, იატაკის ჰოკეი, ფეხბურთი, გოლფი, ტანვარჯიში, ძიუდო, ძალოსნობა, გორგოლაჭებით სრიალი საილინგი, სიჯტბოლი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი ჩოგბურთი, ფრენბურტი). აღნიშნულ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 170 ქვეყანა.



ბერლინის მარათონი

შვეიცარიელმა ჰაინც ფრაიმ გაიმარჯვა ყველაზე მსხვილ და ცნობილ ბერლინის 36-ე მარათონში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ეს მე-19 მარათონული გამარჯვებაა მის სპორტულ კარიერაში.

ფრაიმ პირველი ადგილი დაიკავა მამაკაცთა შორის ეტლებით რბოლაში და აჩვენა 1.28.38. მეორე იყო იაპონელი მასაზუმი სოიჯიმა (1.31.43.), ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა პოლონელმა თომას ჰამერლაკმა (1.39.32.). ქალთა რბოლაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა სანდრა გრაფმა (1.39.310), მე-2 ადგილი



დაიკავა ინგლისელმა შელი ვუდსმა (1.40.43), ხოლო მე-3 იყო გერმანელი ივონა სეხმიში (1.55.37).

ბერლინის მარათონში მონაწილეობდა 40 ათასი ადამიანი, ხოლო ამ ზეიმში სულ მილიონამდე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ამრიგად, ეს მარათონი გახდა მსოფლიოს უდიდესი ღონისძიება, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ბერლინის მარათონის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მის ოფიციალურ საიტზე www.real-berlin-marathon.com.

2016 წლის პაროლიმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდება

კოპენჰაგენში, 121-ე სესიაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) პრეზიდენტმა, ჟაკ როგმა გამოაცხადა 2016 წლის ოლიმპიური და პაროლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის გამოსავლენად დახურული კენჭისყრის შედეგები. ზაფხულის XXXI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების და XV პაროლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მოიპოვა რიო-დე-ჟანეირომ.



უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიური და პაროლიმპიური ოთხწლიანი მოძრაობის მთავარი ტურნირი სამხრეთ ამერიკაში არასოდეს ჩატარებულა.

გამარჯვებული ქალაქის გამოსავლენად საჭირო გახდა კენჭისყრის სამი რაუნდის ჩატარება. პირველ რაუნდში კონკურსს გამოეთიშა ერთ-ერთი ძირითადი ფავორიტი- ჩიკაგო. მეორე რაუნდში ყველაზე ცოტა ხმა დააგროვა ტოკიომ. მესამე რაუნდში სოკის ნევრებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ რიო-დე-ჟანეიროსა და მადრიდს შორის. საბოლოოდ უმრავლესობამ ხმა მისცა ბრაზილიის დედაქალაქის სასარგებლოდ.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს ბრაზილიაში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ეს იქნება მეორე ქვეყანა, რომელიც ბოლო ხანს ერთ ათწლეულში ორი წლის გამოშვებით ჩაატარებს საერთაშორისო მასშტაბის ორ უდიდეს ღონისძიებას. პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატი (1994წ) და საერთაშორისო ოლიმპიური თამაშები ატლანტაში (1996წ).

[2] - საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №972 – სსმ. 2001წ., №22, მუხ. 81

საქართველოს კანონი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველებს და მიზნად ისახავს სხვა პირთა თანაბრად უზრუნველყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №959 – პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №44, გვ. 68

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველები

1. საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ”, მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარშესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით”, საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას.

საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონი №972 – სსმ. 2001წ., №22, მუხ. 81

მუხლი 3. სახელმწიფოს როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

2. სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს.

მუხლი 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით.

მუხლი 5. ქსეების ენა

სახელმწიფო ცნობს ქსეების ენას პიროვნებათაშორის ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

მუხლი 6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

სოციალური ინფრასტრუქტურით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნა

მუხლი 7. სახელმწიფო შენობებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარგებლობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

მუხლი 8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნილებების ბათვალისწინება სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დაკრძობებისა და მშენებლობისას

დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მუხლი 9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უზრუნველყოფა კულტურულ-სანახაობით დაწესებულებებსა და სპორტულ ნაგებობებში

1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით.

2. ჩამოთვლილი მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. აღნიშნული მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სარგებლობის წესს, პირობებსა და შეღავათებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №959 – პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №44, გვ. 68

მუხლი 10. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა სოციალურ-კულტურული ობიექტებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობის დაწინაანების, მოწოდების შეძენისა და შენახვის საქმეში

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საკუთრების და მეურნეობის ფორმის მიუხედავად, უფლება აქვთ გაიღონ თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალურ-კულტურული ობიექტების და სპორტული ნაგებობების მშენებლობის, მონყობილობის შეძენისა და შენახვის მიზნით. ეს თანხა არ იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი №959 – პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №44, გვ. 68

მუხლი 12. შეღავათები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის აწარმოებენ საქონელსა და ტექნიკურ საშუალებებს

იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის აწარმოებენ საქონელს, სპეციალურ ტექნიკურ და სხვა საშუალებებს და სპეციალდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების სფეროში, უწესდებათ შეღავათები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

30

სამი ხერხი, რომელიც დაგვიცავს მუდმივი სტრესისაგან

ყველა ჩვენგანს მოუსმენია პოზიტიური აზროვნების გადამწყვეტ როლზე ფსიქიკური თვითრეგულაციის წარმართვის საქმეში. დღევანდელობის გადმოსახედიდან, ამ მიმართულებას, როდესაც, თითქმის სისტემატურ ემოციურ ზეგავლენას განიცდის ადამიანები, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

თანამედროვე მსოფლიოში დიდ გავლენას იძენს ეგრეთწოდებული ფსიქოსომატური მედიცინა, რომლის ძირითად პოსტულატს წარმოადგენს მოსაზრება, იმის შესახებ, რომ “ადამიანის მრავალი დაავადებები პირდაპირაა დაკავშირებული ავადმყოფის ნერვულ-ფსიქიკურ განცდებთან, რომ ეს განცდები წარმოადგენს დაავადების საფუძველს, და თავისთავად, ეს წარმოადგენს არა სომატურ, არამედ ფსიქოსომატურ დაავადებებს”.

ექიმები ფსიქოსომატურ დაავადებებს მიაკუთვნებენ ისეთ დაავადებებს, როგორიცაა მიგრენი, სტენოკარდია, მიოკარდის ინფარქტი, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულები, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა, ჰიპერტონული დაავადებები, კანისა და სხვადასხვა ალერგიული დაავადებები, ოსტეოხონდროზი, რადიკულიტი, კიბოს მრავალი სახეობები და ა.შ.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზია ხანგრძლივი და მუდმივი სტრესები.

როგორ ავიცილოთ თავიდან მთელი რიგი გაღიზიანებები, სხვადასხვა სტრესები შინ და გარეთ ისე, რომ გამოვიყენოთ უბრალო მეთოდები?

მოვიყვანოთ მხოლოდ სამი მაგალითი, რომელიც დაგვეხმარება ფსიქიკური მდგომარეობის თვითრეგულაციაში.

პირველი ხერხი, მაღლიერება

ჩვენ, ადამიანებმა უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი გათენებული დღე ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქარია. ეს ახალი დღეა, რომელსაც ჩვენთვის მოაქვს სიხარული, ტკივილი, სინანული, დარდი და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იძლევა ცხოვრებით დატკობის შესაძლებლობას. ჩვენ, ღმერთმა მოგვცა სიცოცხლე, ვალდებულნი ვართ ამ სიცოცხლეს მოვუაროთ, ცხოვრებით გავიხაროთ და მაღლიერნი ვიყოთ იმით, რასაც ის გვაძლევს. ასეთი შემთხვევების (სტრესის) დროს კარგი იქნება ითქვას — “ხომ შეიძლება უარესიც მომხდარიყო, ეს არაფერია”, გეთანხმებით, სტრესულ სიტუაციაში ამის გაკეთება ცოტა რთულია, მაგრამ მაინც შეიძლება. დავინყოთ პატარაპატარა უსიამოვნებებიდან, და შემდეგ კი, თუ საჭირო იქნება გამოვიყენოთ უფრო რთულ შემთხვევებში.

მეორე ხერხი, ცხოვრება თამაშია

არის შემთხვევები, როდესაც იქმნება კომფლიქტები სამსახურში, სახლში, ქუჩაში და ა.შ. და “გაცოფებული” მთელი ძალით ვცდილობთ ვილაცას დავუმტკიცოთ რალაც-რალაცები. ხან კიდევ, პირადი წარუმატებლობით საკუთარ თავში ვიკეტებით და არ ვიცით როგორ გავუმკლავდეთ პატარა თუ დიდ ტრაგედიებს. ასეთ შემთხვევაში ცხოვრება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სპექტაკლში მსახიობების თამაში, სადაც არის სცენა და მაყურებელთა დარბაზი. წარმოვიდგინოთ, რომ რალაც მიზეზით წარმოქმნილი კომფლიქტის დროს თქვენ აზრობრივად გადაინაცვლეთ სცენიდან მაყურებელთა დარბაზში და იქიდან ყველაფერს ალიქვამთ მაყურებლის თვალთ. მეცნიერები გვიმტკიცებენ, რომ ყოველივე ეს თქვენგან სასაცილოდ იქნება აღქმული. შესაძლებელია, რომ თქვენ ეს ხერხი მოგეჩვენოთ, როგორც რეალობიდან გამოსვლის და სხვა სამყაროში გადასვლის საშუალება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალ სიტუაციაში გვეხმარება შექმნილი მდგომარეობის უფრო ადექვატურ შეფასებაში, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში და სიმშვიდის შენარჩუნებაში.

მესამე ხერხი, შემოვკრათ ტაში

რა თქმა უნდა ყოველთვის ვერ ვუმკლავდებით ნერვულ დაძაბულობას და სტრესებს, იაპონელები ტყუილად კი არ იყენებენ დასამშვიდებელ ოთახებს, სადაც სხვადასხვა ფიტულები დაგხვდებათ სტრესის მოსახსნელად. ჩვენ ასეთი ოთახებისაგან ჯერჯერობით შორს ვართ, მაგრამ გვერდზე გადგომა კი შესაძლებელია. “სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. . .”-ო უთქვამს რუსთაველს. წარმოქმნილი კომფლიქტის შემდეგ, როდესაც იმყოფებით უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაში, გირჩევთ რამოდენიმეჯერ ძლიერად შემოვკრათ ტაში, ღრმად ჩავისუნთქოთ, დავხუჭოთ თვალები, შევიკავოთ სუნთქვა და საკუთარ თავს უთხრათ — “ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი შესანიშნავია”, ამოვისუნთქოთ და გაეზლიმოთ ჩვენს თავს. ეს ხერხი იძლევა 100%-ან შედეგს. რამოდენიმე წუთში თქვენ გახდებით უფრო მშვიდი და განონასწორებული. შეგიძლიათ ეს ხერხი გაიმეოროთ რამოდენიმეჯერ.

ჩვენ სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა, იგი ყოველი ჩვენგანივით უნიკალური და განუმეორებელია. გაიხარეთ ცხოვრებით, ადამიანებითა და ბუნებით. არუქეთ და მიუძღვნით ადამიანებს ღიმილი. ეს თქვენს ჯანმრთელობაზე აუცილებლად დადებითად აისახება.

კიბრაძე

ძველი ზომა — ნონის ერთეულები
 ერთი გირვანქა — დაახლოებით 400 გრამი.
 ერთი გოჯი — დაახლოებით 4 სანტიმეტრი.
 ერთი ვერშოკი — დაახლოებით 4.5 სანტიმეტრი.
 ერთი თუნგი — 4.5 ლიტრა.
 ერთი მისხალი — 4.25 გრამი.
 ერთი ფუთი — 16 კილოგრამი.

- უმეცარს ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნიაო.
- ლოკოკინას თავის სახლი რომ არ ანუხებდეს, უფრო სწრაფად ივლისო.

ბუნების მიერ შექმნილი “ნაღმი” სამხრეთ აფრიკის ტროპიკულ ტყეებში იზრდება მომწვანო სოკო, რომლის წონა 5 კილომდე აღწევს. მას აფეთქების უნარი გააჩნია, რითაც დიდ უსიამოვნობას აყენებს გაუფრთხილებელ ნატურალისტებსა და მონადირეებს. მასზე ფეხის დადგმა ან გადაგდება საკმარისია, რომ აფეთქდეს და ადამიანი შავ, სქელ კვამლში ეხვევა, ეწვება თვალები, ეწყება შეუკავებელი ცხვირის ცემინება, ხველა, თვალებიდან სდის ცრემლდენა.

79 წლის 24 აგვისტოს ვეზუვის მთის ძირას მდებარე ქალაქი პომპეი ვულკანის ძლიერმა აფეთქებამ იმსხვერპლა. ვულკანურ ფერფლში ჩაიძირა მთელი ქალაქი თავისი 30 ათასი მაცხოვრებლით. ვულკანმა ვეზუვმა სამ დღეში მოსპო ის, რაც ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა. მთელი 1500 წლის განმავლობაში პომპეის ადგილმდებარეობა დავიწყებას მიეცა. მხოლოდ მე-17 საუკუნის დასაწყისში მიაგნეს მისი არსებობის კვალს. ამის შემდეგ იწყება გათხრები, რომელიც თითქმის მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე გრძელდებოდა. არქეოლოგიური კვლევების შედეგად დღეს მნახველთა წინაშე აღმართულია ძველი პომპეი თავისი ქუჩებით, ტაძრებით, სახლებით, კულტურის ძეგლებითა და ქანდაკებებით, მოხატული კედლებით, საყოფაცხოვრებო სახლებითა და სხვა ნაგებობებით. დღეს ელინისტური ეპოქის იტალიური ქალაქი ბუნებრივ მუზეუმს წარმოადგენს. მართალია, აბობოქრებულმა ვეზუვმა ბოლო მოუღო მას, რომელიც ოდესღაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მან მომდევნო შორეულ თაობებს შემოუნახა და საშუალება მისცა უშუალოდ ენახათ ის, რაც 19 საუკუნის წინათ ხალხს გააჩნდა. აქ ყველაფერი ისეა დაცული, როგორც დამარხვამდე, ვიდრე ქალაქი ტალახის და ცივი ფერფლის სქელი ფენით დაიფარებოდა.

მთავარია არა თვით სიცოცხლე, არამედ ის, თუ როგორ იყენებს მას ადამიანი.

უაილდერ პინთილდი

რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს . . . ნაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას

გრ. ორბელიანი

ხალხს უთქვამს

- საკუთარი ოჯახის ბოლი სხვის ცეცხლსა სჯობიაო.
- ცოდნას უვიცობის მეტი სხვა მტერი არ ჰყავსო.
- ლაპარაკზე მეტი გაგონება უნდა გიყვარდესო.
- სამი რამ არის ყველაზე აუტანელი: გლახა ამპარტავანი, ბებერი არშიყი და მდიდარი ძუნწიო.
- ჭეშმარიტი დიდებისათვის სხვისი დამცირება საჭირო არ არისო.
- ცილისმწამებელი ყველას თავის ბინიერებას მიაწერსო.
- ჭკუა მოხუცებულობის სიჭაბუკეაო.

დიოსკურიის მახლობლად სვანები (სოანები) ცხოვრობენ . . . ისინი ძალგულოვანნი არიან და თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე შეუპოვარნი არიან. კავკასიის მაღალი მთებიც უჭირავთ და ყველა მეზობელ გვარ-ტომს განაგებენ. ჰყავთ მეფე და სამას კაციანი საბჭო. ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ ორასიათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალის მებრძოლია.

სტრაბონი

ძვ.ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი

2 -

